ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

№ 20 (325) ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-17 ᲬᲔᲚᲘ

● 1973 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ქართლ-კახეთი,
იმერეთი,
გურია და
სამეგრელო —
ველა ჩემი
საშობლოა,
საუკარელი
საქართველო!

დუტუ მეგრელი

ერთიანი, ბედნიერი, საბჭოთა საქართველო!



გარდვიდნენ ქამნი, საუკუნენი, წარსულს ჩაბარდა ეპოქა მეთერთმეტე, მეთორმეტე საუკუნეთა. დაიყო უძველესი საქართველო, დანაწევრდა. მეცხრამეტე საუკუნესთან ჩვენი წინაპარნი მივიდნენ დამლილნი, დაღლილნი. აღარ იყო ერთიანი, გამართული საქართველო — იყო ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარა თავისი სამეფოებით, სამთავროებით, ან სულაც ისე, მიტოვებული ბედისა და მომხვდურის ანაბრად. წუხდნენ მამულიშვილნი, ფიქრობდნენ, იბრძოდნენ, ილტვოდნენ ერისკაცნი. გაერთიანდით მეცხრამეტეში, დავთმეთ ზოგი რამ, მაგრამ მაინც გაერთიანდით, სული მოვითქვით, წიგნი გავშალეთ, აღვმაღლდით ნელა, მაგრამ აღვმაღლდით. დრომ მოიტანა, კაცმა იწამა, სამშობლომ მიიღო და გაიხარა ამ აღმაღლებით, წინსვლით, პროგრესით, დღევანდელთან შედარებით რომ არარაა, წარსულთან კი — წინ გადადგმული იყო ნაბიჯი, უმალ მტკიცე ნაბიჯები და გამართული სიარულიც.

დაყოფილ, დაჭუცმაცებულ წარსულზე, ერის კიდევ უფრო აღმაღლებაზე, გაერთიანებაზე, განათლებაზე ფიქრობდნენ ახლობელი წინაპარნი ჩვენნი. იმათ იცოდნენ, რომ სამშობლოს წინსვლისათვის საჭირო იყო იმიერ და ამიერ საქართველოს ერთიანობა. და დათქვა ქართველმა ხალხმა გარდასულ საქართველოს ერთიანობის წინამძღვრებად დიდი ილია და დიდი აკაკი, აღიარეს ერის პირველ კაცებად, საქართველოს ერთიანობის ნათელ სიმბოლოდ.

1958 წლის 19 ოქტომბერს, 15 წლის წინათ, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, დედაქალაქის ცენტრში, ცოდნის ერთი უძველესი კერის, ძველი ქართული გიმნაზიისა და დღეს პირველი საშუალო სკოლის შენობის წინ, რომლის კედლებში უამრავი სასიქადულო მამულიშვილი აღზრდილა ჩვენი ძველი და ახალი პედაგოგიური აზრისა და გარჯის წყალობით, მადლიერმა ქართველმა ხალხმა სამშობლოს ერთიანობის სიმბოლოდ ძეგლი აუგო ორ ქართველ სულმნათს — ილიასა და აკაკის. ძეგლის ავტორებმა ვალერიან თოფურიძემ და შოთა მიქატაძემ დიდებულად შეასხეს ხორცი ქართველი ხალხის თაობათა შთანაფიქრს, ბრწყინვალედ მოხაზეს სასიქადულო მამულიშვილთა ხასიათი, სიბრძნე, წონა, ღირსება და განსწავლის ძალა, შეჰკრეს ისინი, როგორადაც მათ უნდოდათ შეკრულ ენახათ საქართველო, დღეს რომ ჭეშმარიტად არის ერთიანი ჩვენი ხალხის ნებით, სურვილით, იმ დიდი ბრძოლისა და შრომის შედეგად, რასაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ. ილიასა და აკაკის ძეგლში მათ გამოხატეს თვით საქართველოს ხასიათი, მრავალბუნება, სიბრძნე, სილაღე, სიმხნევე და დაუცხრომლობა ერისა, რომელმაც ერთობით, და სწორედ ერთობით, შრომით, ძმობით და სიყვარულით იმარჯვა, მარჯვობს და კვლავაც გაიმარჯვებს დიადი საბჭოეთის ძმურ ოჯახში ნიჭით და შრომით, ძმობითა და თანასწორობით გალაღებული.

წავიდა, გაჰქრა, წარსულს ჩაჰბარდა კარჩაკეტილობა, ვიწრო ფიქრები, ძმათა ქიშპობა, იქაურობას, აქაურობას დაესვა ჯვარი გადაშლისა, დავიწყებისა. ქუთაისელმა ალაზანზე დაიდო ბინა, ალაზნელი ბათუმს გავიდა, აჭარელი თბილისს დამკვიდრდა, სამეგრელომ გახსნა კარები, გურიაში იმერელმა მოიდგა ფეხი; მთის ქართველობამ დაივაკა, აღვმაღლდით, ერთ ოჯახად დავსახლდით ყველა იმიერში, ამიერში. ახდა და კვლავაც ახდება ოცნება წინაპართა, შორეულთა თუ ახლობელთა — გაერთიანდა საქართველო ძმობის კავშირში აღზევებული.

სახელოვან წინაპართა სამშობლოსეული ეს შთაგონება დაედო საფუძვლად ქართველი ხალხის შემდგომი თაობების სულიერ აღზრდა-ამაღლებას, ხალხისა, რომელიც ოდითგანვე გამოირჩეოდა სხვა ხალხების შვილთა მიმართ დიდსულოვნებით, პატივისცემით და მეგობრობით. სწორედ ერის ამ სულიერმა სიმდიდრემ განაპირობა ქართულ მიწაზე კუთხური ზღვარების წაშლის შესაძლებლობა. დღეს, სამოცდაათიანი წლების საქართველოში, ხალხთა ძმობის ურღვევ საბჭოეთში გაერთიანებულ საქართველოში ყველაფერი კეთდება და კვლავაც გაკეთდება იმისათვის, რომ ქართულ მიწაზე მოსახლე ყველა კაცური კაცი თანაბრად ლაღობდეს ჯერ თავის მიწაზე, თავის მამულში, მერე კი უძლეველსა და უზვიადეს დიად სამშობლოში.

ჩემი აკვანი, ოჯახი, კერა, მამული, სოფელი, კუთხე თუ მხარე არ წაშლილა, არც წაიშლება, მაგრამ დღეს იგი ერთობის გვირგვინად ჩაიხატა, ცხოვრების კანონად დამტკიცდა საქართველოს მადლიან მიწაზე, როგორც ნაწილი სამშობლოსი, როგორც სისხლხორცეული ნიშანი ერისა, ხალხის ძმობისა, ერთიანობისა და სიყვარულისა, როგორც თავმდები წინსვლისა და გამარჯვებისა.

ᲐᲥ ᲓᲐᲕᲡᲐᲮᲚᲓᲔᲑᲘ!

ᲐᲛᲘᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲥ ᲓᲐᲕᲡᲐᲮᲚᲓᲔᲑᲘ,
ᲩᲔᲛᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲣᲠᲘᲐ;
ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ, ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲡ ᲐᲥᲕᲔ ᲓᲐᲕᲮᲕᲓᲔᲑᲘ,
ᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲠ ᲛᲧᲕᲣᲠᲘᲐ.
ᲕᲘᲕᲚᲘ ᲒᲐᲨᲚᲘᲧᲘᲗ ᲗᲐᲕᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ,
ᲕᲘᲗᲝᲛᲪ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲡ ᲣᲡᲐᲮᲡᲝᲕᲠᲘᲐ;
ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲣᲛᲐᲗᲔᲚ ᲙᲐᲪᲡ ᲣᲪᲮᲝᲕᲠᲘᲐ.
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲕᲣᲧᲕᲝ ᲩᲔᲛᲡ ᲢᲙᲑᲘᲚ ᲘᲛᲔᲠᲗᲡ,
ᲒᲔᲒᲣᲗᲡ, ᲕᲐᲠᲪᲘᲮᲡ, ᲐᲚᲘᲡᲣᲒᲐᲜᲡ;
ᲝᲯᲠᲡ ᲒᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲡ, ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲡ, ᲡᲘᲛᲓᲔᲠᲔᲑᲡ,
ᲧᲠᲛᲝᲑᲐᲡ, ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲡᲐ?
ᲝᲓᲘᲡ ᲠᲐ ᲕᲣᲧᲝ, ᲖᲦᲕᲘᲡᲤᲔᲠ ᲭᲐᲚᲐᲙᲔᲑᲡ...
ᲘᲡᲘᲪ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘᲐ, ᲘᲡᲘᲪ ᲩᲔᲛᲘᲐ...
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲡ, ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲡ, ᲠᲣᲮᲡ, ᲜᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲕᲡ
ᲒᲐᲕᲪᲚᲘᲕᲐᲠ, — ᲡᲣᲚᲘ ᲘᲥ ᲓᲐᲛᲠᲩᲔᲜᲘᲐ.
ᲬᲘᲜ ᲒᲐᲛᲔᲤᲔᲜᲘᲐ, ᲕᲘᲗ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ,
ᲭᲧᲔᲗᲐ ᲨᲠᲘᲐᲚᲨᲘ, ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲔᲠᲡᲨᲘ
ᲭᲐᲑᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲐ — ᲠᲐᲭᲐ-ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘ,
ᲨᲐᲛᲔᲠᲘ, ᲝᲠᲑᲔᲚᲘ, ᲜᲐᲙᲣᲠᲐᲚᲔᲨᲘ.
ᲘᲛ ᲛᲗᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲕᲣᲗᲮᲠᲐ, ᲪᲐᲡ ᲨᲔᲯᲘᲓᲔᲑᲣᲚᲡ,
ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚ ᲖᲦᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔᲠᲔᲑᲡ...
ᲙᲐᲮᲔᲗᲡ ᲠᲐ ᲕᲣᲧᲝ, ᲙᲐᲮᲔᲗᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲡ,
ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲪᲕᲠᲘᲐᲜ ᲑᲐᲚᲜᲐᲠᲔᲑᲡ?!
ᲐᲮᲐᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡ, ᲛᲖᲘᲣᲠᲡ, ᲖᲦᲕᲘᲡᲔᲣᲚᲡ,
ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲡ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ;
ᲥᲐᲠᲗᲚᲡ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ,
ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲡ,
ᲐᲮᲛᲘᲡ, ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ, ᲮᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲡ!
ᲠᲣᲛᲔᲚ ᲔᲠᲗᲡ ᲕᲣᲗᲮᲠᲐ: ᲨᲔᲜ ᲛᲔᲛᲔᲢᲔᲑᲘ,
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲓᲐᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘᲐ,
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲘ, ᲛᲗᲔᲑᲘ, ᲫᲔᲓᲔᲑᲘ
ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ.
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲦᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲖᲔᲪᲐᲛᲓᲔ,
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲐ,
ᲓᲐ ᲜᲣ ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲡ — ᲗᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲔᲫᲐᲮᲓᲔᲡ
ᲘᲥᲘᲗ ᲙᲐᲮᲔᲗᲘ, ᲐᲫᲔᲗ ᲒᲣᲠᲘᲐ!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

დიდი ილია ყვარელს თვლიდა მშობლიურ კუთხედ, საგურამოში ცხოვრობდა ოჯახად, თბილისიდან ნათელს ჰფენდა სამშობლოს წინსვლის საქმეს; საჩხერეში დაბადებული და გაზრდილი დიდი აკაკი საქართველოზე ფიქრსა და ზრუნვას უპირველეს ვალად უთვლიდა ყველა მამულიშვილს. ქუთაისი, რაჭა, ლეჩხუმი, იმიერ და ამიერ საქართველო იყო მისი ჩანგის, სულისა და გულის შთაგონება და შემართება. ისინი მეცხრამეტე საუკუნის ერს ედგნენ სათავეში ერთიანობის გზაზე და ძალას, ენერგიას, ცოდნას არ იშურებდნენ ამ სარბიელზე გამარჯვების მისაღწევად.

ჩვენმა თაობამ, საბჭოეთის ძმურ ოჯახში აღზრდილმა და დავაჟკაცებულმა თაობამ წინაპართაგან წმინდა ანდერძად მიიღო და სანიშნობელ საწინდრად დათქვა ამ ერთობის, საქართველოს მთლიანობის მოვლა-პატრონობა და სამარადჟამო დაკანონება. ყველა, ვინც ქართულ მიწაზე ცხოვრობს, ვინც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მკვიდრია, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი წინსვლა, და ისინიც, ვინც საქართველოს სამშობლოდ ამბობენ, ყველაფერს აკეთებენ და მომავალშიც გააკეთებენ, რათა არ იყოს მეკუთხეობა, მემხარეობა, რომ მთიელი ბარში ისე ლაღობდეს, როგორც მთაში ასული ჩვენი ბარელი, რომ იყოს შრომა, გამარჯვება, ძმობა, ერთობა ისე, როგორც დიდ ილიას, როგორც დიდ აკაკის ნებავდა, როგორც ნათელმოსილმა წინაპრებმა გვიანდერძეს, როგორც საბჭოურმა ძმობამ შეგვისისხლხორცა, როგორადაც მივდივართ წინ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, აწ და მარადის!

დიდება ნათელმოსილ, ერთიან იმერეთ-ამერეთს, საბჭოთა საქართველოს მარად დიდება!

საბჭოთა მთავრობის განცხადება

მთელმა მსოფლიომ კმაყოფილებითა და შვებით აღიქვა უშიშროების საბჭოს ამა წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება ახლო აღმოსავლეთში ცეცხლისა და მთელი საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ეგვიპტის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის შეასრულოს უშიშროების საბჭოს ეს გადაწყვეტილება და შეწყვიტოს საომარი მოქმედება ეგვიპტე-ისრაელის ფრონტზე. უშიშროების საბჭოს ამ გადაწყვეტილებას თანხმობა გამოუცხადა ისრაელის მთავრობამაც.

მაგრამ ტელ-ავივის ეს განცხადება სინამდვილეში გამოდგა მტკნარი ტყუილი, რომლითაც შეინიღბა ისრაელის მხედრიონი და მუხანათურად დაესხა თავს ეგვიპტის ჯარების პოზიციებს, აგრეთვე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს. ისრაელის მთავრობამ ასეთი მოქმედებით ფეხქვეშ გათელა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი, აბუჩად აიგდო მთელი მსოფლიოს ხალხები. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების ამ უხეში დარღვევებისათვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ისრაელის მთავრობას.

საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი გულისწყრომით გმობენ ისრაელის მთავრობის ამ მუხანათურ მოქმედებას და მოითხოვენ, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ცეცხლი და მთელი საომარი მოქმედება არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და გაიყვანოს თავისი ჯარები 22 ოქტომბრის ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე უშიშროების საბჭოს 1973 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

საბჭოთა მთავრობა აფრთხილებს ისრაელის მთავრობას იმ უაღრესად მძიმე შედეგების თაობაზე, რომლებიც მოჰყვება ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მისი აგრესიული მოქმედების განგრძობას.

კლდის გამოქვაბულში

ჰიათურელმა ალპინისტებმა და კლდეზე მცოცავთა ჯგუფმა, რომელსაც მაღაროელი ალპინისტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო საზოგადოების წევრი გიორგი სამხარაძე ხელმძღვანელობს, ათობით გამოქვაბული დალაშქრეს.

ამ დღეებში კლდეზე მცოცავებმა დალაშქრეს ეგრეთ წოდებული „ჰიპიანი კლდის“ მარცხენა გამოქვაბული. იგი მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 45 მეტრზე, ხოლო კლდის თავიდან 62 მეტრზე. გამოქვაბულის ზევიდან შვეულად დაშვებული თოკი შვიდი მეტრით შორდება გამოქვაბულში შესასვლელ დერეფანს, რაც აძნელებს გამოქვაბულში შესვლას. მაგრამ სიძნელე გადალახეს... გამოქვაბული სამი ოთახისაგან შედგება. პირველი გამოყენებული ყოფილა სამზარეულოდ.

მეორე ოთახის კლდის მასივში ამოკვეთილია ორმო. იგი გამოყენებული ყოფილა წყლის მარაგისათვის.

მესამე ოთახი პატარაა და ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველში მოთავსებულია მარაგი, მეორეში საძინებელი უნდა იყოს.

— ეს გამოქვაბული ფრიად საინტერესოა, — განაცხადა კლდეზე მცოცავთა ჯგუფის ხელმძღვანელმა გიორგი სამხარაძემ, — კარგი იქნება, თუ მას შეისწავლიან მეცნიერები.

მართლაც, ვინ იცის რამდენი საიდუმლო იმალება ამ გამოქვაბულში.

შემთხვევა ოკეანეში

საქართველოს საოკეანო სამმართველოს ტრაულერმა „იმერეთმა“ ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ სამშობლოსაკენ აიღო გეზი. 4 ოქტომბერს, როცა ტრაულერი ჩრდილოეთი განედის 32-ე გრადუსზე იმყოფებოდა, კაპიტან-დირექტორის მესამე თანაშემწემ გელაშვილმა შენიშნა გემი, რომელიც დახმარების სიგნალს იძლეოდა.

გურგენიძემ განკარგულება გასცა სარეისო სვლა დროებით შეეცვალათ და გემისათვის დახმარება აღმოეჩინათ. საბჭოთა ტრაულერი სწრაფი სვლით მივიდა გემთან, რომლის ქიმზეც ესპანური წარწერა იკითხებოდა: „ხოსე-მარტიპერელეს ალგე-სირას-ალ“, ანუ ესპანეთის თევზსაჭერი ფლოტი. აღმოჩნდა, რომ გემს დაზიანებული ჰქონდა მთავარი ძრავი.

„იმერეთის“ ეკიპაჟიდან სასწრაფოდ გამოიყო დამკვრელი ბრიგადა, რომელმაც ოთხი საათის დაძაბული მუშაობით აღადგინა ძრავი. ესპანეთის გემის ეკიპაჟმა მადლობა გადაუხადა ქართველ მებადურ-მეზღვაურებს.

„მწვანე აფთიაქის“ სიახლენი

სამკურნალო ნარგავთა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალურ საცდელ სადგურში დამთავრდა ფურალენის მისაღებად წარმოებული ექსპერიმენტული სამუშაოები.

ქობულეთელმა მეცნიერებმა ფარმაცევტულ მრეწველობაში ფართოდ გამოყენებული მცენარის, სადგურის წამყვანი კულტურის ალოეს გაშენების ინტენსიფიკაციის პრობლემა გადაწყვიტეს. საცდელ ნაკვეთზე მისი რაციონალურად განლაგების, მიკროსასუქების, სტიმულატორების გამოყენებისა და აგრეთვე ვეგეტაციის დროს სპეციალური ფირით დაფარვის ხარჯზე ამიერიდან ჩვეულებრივზე 5-ჯერ მეტ — 50 ტონა ალოეს მიიღებენ.

ჭყიბულიდან საზღვარგარეთ

კარგად მუშაობს ტყიბულის ჩაის ფაბრიკა, აქ დამზადებული პროდუქცია მოსწონთ საზღვარგარეთის ქვეყნებში.

წლეულს დამზადებული შაი ბაიხაოს ჩაი უკვე გაიგზავნა კუბასა და უნგრეთში. საექსპორტოდ მზადდება და მალე აქაური ჩაის მიიღებენ პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

წლეულს ტყიბულური მარკით საზღვარგარეთ გაიგზავნება 90 ტონა შავი ბაიხაო ჩაი.

თურქეთის ელჩი თბილისში

თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ილტერ თურქმენი, რომელიც მოგზაურობს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა.

12 ოქტომბერს ილტერ თურქმენი საბჭოთა კავშირში თურქეთის საელჩოს ატაშეს მეთინ იაფინჯილარის თანხლებით ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შალვა კიკნაძეს. გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრო საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე გურამ ჭიპაშვილი.

იმავე დღეს ილტერ თურქმენი ეწვია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს. ელჩთან საუბრის დროს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბახვა ლობჟანიძემ ილაპარაკა საქართველოს დედაქალაქის განვითარების გეგმებსა და პერსპექტივებზე.

საუბარს დაესწრნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი დიმიტრი ბოკერია და საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგე იულონე ნოდია.

საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეს რომ ეცნობოდა, თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა დაათვალიერა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, ეწვია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, პიონერთა და მოწვალეთა სასახლეს. შეხვდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს.

ახმეტიდან — იაპონიაში, თურქეთში

ამას წინათ ახმეტიდან იაპონიაში გაიგზავნა ხელოვნების თვითნასწავლ ოსტატთა მიერ დამზადებული ახობით კვადრატული მეტრი მოთელილი ფარდაგები. მათივე ნახელავი — მოთელილი ფარდაგები, თუშური „ჩითები“, ქუდები, ნაბდები გაიგზავნა იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე. ამჟამად უცხოეთში გასაგზავნად მზადდება კიდევ ხალხური ხელოვნების ნაწარმის დიდი პარტია.

ახმეტის რაიონის სოფლებში: დუისში, ყვარელწყალში, ზემო ალვანში, ქვემო ალვანში, ჯოყოლოში, აგრეთვე მთათუშეთში და სხვა სოფლებში ხალხური ხელოვნების ბევრი ოსტატი ცხოვრობს. თაობიდან თაობებს გადაეცემა შესანიშნავი ნაბდების, თექების, ქუდების, ფარდაგების, თუშური ფეხსაცმლის — „ჩითების“, ფიანდაზების, წინდების, თავშლების, ხის ნაირ-ნაირი ნაკეთობების, კერამიკის წარმოება, რაც უძველესი დროიდან იპყრობდა უცხოელთა ყურადღებას.

წარსულ წლებში ახმეტელ ოსტატებს უჭირდათ თავიანთი [illegible] ლავის გასაღება, რადგან არ [illegible] სებობდა რაიმე ორგანიზაცია, რომელიც ამ საქმეს მოჰკიდებდა ხელს. მდგომარეობა შეიცვალა ახმეტის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატთან შეიქმნა ხელსაწური მხატვრული რეწვის [illegible] ნი. მან თავი მოუყარა ხალხურ ხელოვნების საუკეთესო ოსტატებს და გაშალა ნაყოფიერი მუშაობა. დიდი რაოდენობით მზადდება სხვადასხვა ნაკეთობანი, წარმოს სათავეში უდგას ამ საქმის ენთუზიასტი მ. მარგიშვილი.

მხატვრული ფარდაგებისა [illegible] ფიანდაზების ქსოვის ნამდვილ ოსტატები არიან სოფელ უვარელწყლის მკვიდრნი თამარ ხალვაური და ელისო ამირანაშვილი. ხალხში დიდი მოწონებით სარგებლობს სოფელ დუისის მცხოვრებლების ტასო, სარიყ, ნანა, ნასი ბაღაკაშვილების მიერ დამზადებული მოთელილი ფარდაგები და თუშური ქუდები. თვალს მოგტაცებთ ალვანელი თამარ ზვიადაურის, ასმათ ბაქრაძის, ანეტო ბობღიაშვილის, მაკუშა სოთაიძის დამზადებული თუშური ფეხსაცმელი — „ჩითები“. მნახველი აღტაცებაში მოჰყავს სოფელ ბირკიანის მცხოვრებ ალცბეგ ფარეულიძის ნახელავს — მოჩუქურთმებულ ხონჩებს, ხილის ლარნაკებს, კოვზებს, სავარძლებს, თასებს, ფიალებსა და სხვა საოჯახო ნივთებს.

საერთაშორისო ფორუმზე

სპელეოლოგია (მღვიმეთა და გამოქვაბულთა შემსწავლელი მეცნიერება) სულ უფრო პოპულარული ხდება. 1953 წლიდან ყოველ 4 წელიწადში იმართება სპელეოლოგთა საერთაშორისო კონგრესი. სპელეოლოგთა მორიგი, VI საერთაშორისო კონგრესი წლეულს სექტემბერში მოეწყო ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოლომოუცში. კონგრესში სხვადასხვა ქვეყნის 800 წარმომადგენელი მონაწილეობდა. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის 22 წევრს შორის 5 თბილისელი სპელეოლოგი იყო. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტიდან იყვნენ გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატები შალვა ყიფიანი, ზურაბ ტინტილოზოვი და გივი გიგინეიშვილი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური საბჭოს სწავლული მდივნები ინჟინერ-გეოლოგი კიაზო რაქვიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

საქართველოში სპელეოლოგიურ კვლევას პირველად 60-იან წლებში ჩაეყარა მტკიცე საფუძველი. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია, განსაკუთრებით დასავლეთი საქართველო, ბუნებრივ, კარსტულ მღვიმეთა ინტენსიური გავრცელების ქვეყანაა. ამიტომაც 1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა სპელეოლოგიური საბჭო აკადემიკოს ნიკო კეცხოველის თავმჯდომარეობით (ამჟამად თავმჯდომარეა გეოლოგიის დოქტორი პროფესორი ვახტანგ კოკოტე ჯავრიშვილი), ხოლო ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში—კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია დოცენტ შალვა ყიფიანის ხელმძღვანელობით. ამის გარდა, ჩვენი სამშობლო ხელოვნური გამოქვაბულების სიმრავლითა და ნაირგვარობით საკვეყნოდ არის ცნობილი. ამიტომ სპელეოლოგიური საბჭოს ინიციატივით საქართველოს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში უკვე რამდენიმე წელიწადია შექმნილია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სპელეისტიკის ლაბორატორია არქიტექტორულ მეცნიერებათა კანდიდატის გივი გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით. აქტიურად იკვლევენ საქართველოს მღვიმეებსა და გამოქვაბულებს სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებიც. სპელეოლოგიურმა საბჭომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გამოსცა კრებული — „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“ 5 ტომად. ქართველი სპელეოლოგები ჯერ კიდევ 1964 წელს მიიწვიეს სპელეოლოგთა პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში, სადაც საბჭოთა კავშირიდან წარგზავნილ 8-კაციან დელეგაციაში 6 ქართველი იყო. 1965 წელს იუგოსლავიაში გამართულ სპელეოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 12 ქართველი სპელეოლოგი. მომდევნო წლებში ქართველი სპელეოლოგები იყვნენ პოლონეთში, სპელეოლოგიის აღიარებულ სამშობლოში — საფრანგეთში და ა. შ. წლეულს, VI კონგრესზე, კვლავ ჩეხოსლოვაკიაში შევიკრიბენით.

კონგრესი, რომლის დევიზი იყო: „ერთა შორის მეგობრობისა და ეფექტური თანამშრომლობის გაღრმავება“, მოეწყო იუნესკოსა და სპელეოლოგთა საერთაშორისო კავშირის გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო ოლომოუცის პალაცკის სახელობის უნივერსიტეტის 400 წლისთავთან.

ოლომოუცი სლოვაკიის 82-ათასიანი საუნივერსიტეტო ქალაქია, რომელიც დიდ პარკს ჰგავს. სწორედ ჩვენი კონგრესის დაწყების დღეს დამთავრდა დიდი საერთაშორისო გამოფენა დეკორატიულ მებაღეობაში „ფლორა-1973“, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღებიც.

ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა სპელეოლოგთა ფორუმის ოფიციალური ნაწილი. კონგრესზე წარმოდგენილი 450 მოხსენებიდან 53 საბჭოთა მეცნიერებს ეკუთვნოდათ, აქედან 11 მოხსენება კი — ქართველ სპელეოლოგებს. ქართველი მეცნიერების გამოსვლებმა კონგრესის სექციების სხდომებზე დიდი ინტერესი გამოიწვია და მოწონებაც დაიმსახურა.

საბჭოთა მღვიმეთმკვლევარების საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ორი საბჭოთა მეცნიერი — პროფესორი გიორგი მაქსიმოვიჩი პერმიდან და პროფესორი ნიკოლოზ გვოზდეცკი მოსკოვიდან კონგრესზე ოქროს მედლებით დაჯილდოეს. ამასვე მოწმობს ისიც, რომ კონგრესის სამუშაო სექციების თავმჯდომარეებად დანიშნული იყო 5 საბჭოთა წარმომადგენელი, მათ შორის ორი ქართველი — გივი გიგინეიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

კონგრესის მუშაობის პერიოდში ოლომოუცში დიდი ეროვნული დღესასწაული — მოსავლის ზეიმი მოეწყო. გამართულ აღლუმზე დამსწრეთ სიტყვით მიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გუსტავ ჰუსაკმა.

კონგრესის დამთავრების შემდეგ ვიმოგზაურეთ ტურისტებისათვის მოწყობილ სლოვაკიის მშვენიერ მღვიმეებში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ დღეს, როცა ჩეხმა მეგობრებმა უნგრეთში გადაგვიყვანეს და გვიჩვენეს ევროპაში ერთადერთი მღვიმე აგტელეკი, რომელიც გამჭოლია და ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზეა. მღვიმის საკონცერტო დარბაზში, სადაც ათასი მსმენელი ეტევა, მოგვასმენინეს ბახის, ვაგნერის, დვორჟაკის, ხაჩატურიანის ნაწარმოებები, რამაც დარბაზის ვეება თაღების აკუსტიკით, ზღაპრული ფორმის სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით, სპეციალური განათებებით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ჩვენი მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიის მაღალ ტატრებში დავამთავრეთ. გამოვეთხოვეთ საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს კონგრესის მოსამზადებლად. ჩვენი მეგობრობა უცხოელ კოლეგებთან კიდევ უფრო განმტკიცდა, რაც სპელეოლოგიის, მეცნიერების ამ უაღრესად თავისებური და საინტერესო დარგის, შემდგომი წინსვლისა და განვითარების საწინდარია.

თამაზ კიკნაძე,
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის

დედაშა საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ კ. ნ. ლესელიძის ოჯახისადმი

პატივცემულო ნინო ივანეს ასულო, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის შვილებო, ნათესავებო და ახლობლებო!

კონსტანტინე ნიკოლოზის ძის დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა და მისადმი უღრმესი პატივისცემის გრძნობები.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, რომელთანაც ომის უმძიმესი გზები გავიარე, კარგად მახსოვს. იგი იყო ნიჭიერი, ნებისყოფიანი და ენერგიული არმიის სარდალი, სამშობლოს მამაცი და მედგარი ჯარისკაცი, შესანიშნავი ადამიანი, ნიჭიერი ქართველი ხალხის ღირსეული შვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია მტერზე გამარჯვების დიად საქმეს. მის მხედართმთავრულ ნიჭს უნდა უმადლოდნენ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებას ჩრდილოეთ კავკასიის ბევრი ქალაქისა და რაიონის მშრომელები, განსაკუთრებით ნოვოროსიისკის მშრომელები, რომელსაც ახლა მიენიჭა მაღალი საბელმწიფო ჯილდო — „გმირი ქალაქის“ საპატიო წოდება.

გენერალ ლესელიძის ნათელი სახე მარად გვეხსომება. დარწმუნებული ვარ, რომ სამშობლოსადმი, სახელოვანი ლენინური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითს ბევრი მისი თანამემამულე მიბაძავს. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას გისურვებთ თქვენ, პატივცემულო ნინო ივანეს ასულო!

ჯანმრთელობასა და დიდ ბედნიერებას ვუსურვებ თქვენს შვილებს, ნათესავებსა და ახლობლებს!

ლეონიდ ბრეჟნევი

კეთილი იყოს ეს გახსენება

ნინო ლესელიძეს

ამ გახსენებას სულ სხვა მადლი აქვს,
სხვა ნათელი აქვს, სულ სხვა დიდება,
ნამდვილ მეგობარს, ცხადზე ცხადია,
რომ მეგობარი არ ავიწყდება.
ჩანს არ ჩამქრალა ნამდვილად ძმური
ერთობის ღველფი, სინათლით სავსე, —
ასე ატარებს ძმის ხსოვნას გული,
სარდალს სარდალი იხსენებს ასე!
ასე ყოფილა, ახლაც ასეა,
ჭირსა და ლხინში
ძმა ძმით გვიცვნია, —
ჰკითხე, ვინც ახლა ამ დარბაზშია,
ფრონტული ფიცი რარიგ მტკიცეა!
დიახ, იციან ძმობა მხედრებმა,
რა სჯობს ვალმოხდილ ყრმათა ყურებას, —
კეთილი იყოს ეს გახსენება
ვით უკვდავების დადასტურება!
კეთილი იყოს არა განდგომა,
არამედ ისევ გაშლა ფრთებისა,
გამარჯვება და მკვდრეთით აღდგომა
დედა-სამშობლოს დამცველებისა!
კეთილი იყოს ნაღვაწ-ნაომარ
ძმათა შეხვედრა...
ალბათ იცანი,
რა ნაადრევად გადათოვლილან
მზეჭაბუკები მამულისანი!
ომის ფსკერზე დევს მათი ოცნება,
ბავშვობა, ყრმობა, სურვილი წრფელი, —
ასე იოლად როდი ხორცდება
ვაჟკაცის მკერდზე ჭრილობა ძველი.
ვიცი, ძილშიაც ებრძვიან ნისლებს,
სიზმრად ხედავენ დანაღმულ ფერდობს, —
ბუმბულ-საბანში წვებიან ისე,
როგორც სანგრებში წვებოდნენ ერთ დროს.
არა არ ქრება ის ძველი გზნება,
ძველი იარაც ყვირის მალმალე, —
მათ აქვთ ამ წუთას ტირილის ნებაც,
მაგრამ ისინი ცრემლებს მალავენ...
ნურც შენ იტირებ, ქართველო დედავ,
შენი დაღლილი გულით დაგვლოცე,
გარდასულ დღეთა ნათელი სევდა
ღირს გახსენებად ამ საღამოზე!
ღირს მოგონებად წმინდა საფლავი
და ღირს აღდგენა სრული სიმართლის,
ძახილის, დღემდე შეუბღალავის,
შეუბღალავი „სამშობლოსათვის!“.
ძმა ძმისათვის და შავი დღისათვის,
გულიდან გულში გადაზრდისათვის, —
შენი ცისათვის, ჩემო თბილისო,
ჩემო სამშობლოვ, შენი მზისათვის!
დავბადებულვართ კახაბერებად,
არა მხდალებად, არა მონებად,
ის სიძულვილი, ის სიყვარული
ღირს გახსენებად, ღირს მოგონებად!
არა ოცნებით და არც შემთხვევით,
შვილთაშვილების გულგასახარად.
მოვალ და ისევ იმ ფერფლს ვემთხვევი,
თავს რომ გაყრია დედის ჭაღარად!
და ვიტყვი, როგორც შეჰფერის ახლა
მეომარს, მუშას, პოეტს და რაინდს:
„ჩვენც შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ“,
მაგრამ სამშობლოს არ დავთმობთ მაინც!

მორის ფოცხიშვილი.

წაკითხულია 17 ოქტომბერს კავკასიისათვის ბრძოლის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

კაცი გმირობით ქებული!

დიდი სამამულო ომი შუადღეზე იდგა, მომხდურ-დამხდურის ბედის სასწორი ჯერ არსაით გადახრილიყო. თუმცა დამხდურებს, სამშობლოს დამცველებს ძალიან უჭირდათ, მაგრამ არა ტყდებოდნენ, მართალი საქმის გამარჯვებისა სჯეროდათ, სამშობლოს ნებით ყოველი გოჯი მიწისათვის იბრძოდნენ.

თბილისში მეცხრე-მეათე კლასების სასწავლო პროგრამა ერთ წელიწადში გაიარა თექვსმეტი წლის ჭაბუკმა ოთარ ლესელიძემ და თავის მამას კონსტანტინე ლესელიძეს შეუთვალა— ახლა რაღას მეტყვი, მამი, სკოლა ხომ დავამთავრე, შენთან ერთად ბრძოლა მწადიაო.

მე-18 არმია ნოვოროსიისკისათვის იბრძოდა. დიდი საბრძოლო გრიგალების წამიან შესვენებისას სარდალს მოახსენეს, თქვენი ვაჟი ჩამოვიდაო ფრონტზე.

მამას ნანატრი ვაჟი რომ წარუდგინეს, ახალბედა ჯარისკაცის ჩაცმულობამ დაფარა ყველა სიხარული — ვიღაცებმა, ეტყობა, მოხალისე ჭაბუკი გაათამამეს, იქნებ სარდლისათვის უნდოდათ ეამებინათ — ოთარ ლესელიძეს სხვა ჯარისკაცებისაგან გამორჩეული ფორმა ჩააცვეს.

არა, სარდალს არავისთვის დაუტეხია რისხვა, არც ვაჟიშვილს ატკინა გული. უბრალოდ თქვა:

— ჯარისკაცი ჯარისკაცს უნდა ჰგავდეს, ეხლავე გახადეთ ეს ზიზილ-პიპილები და რიგითი წითელარმიელის ფორმა ჩააცვით.

— მამა, დედამ ბარათი გამომატანა შენთან, — მორიდებით ჩაულაპარაკა ვაჟმა.

მშობელს თავს ერჩია პირმშო, ერთ რამედ უღირდა მოჰფერებოდა ვაჟს, მაგრამ ნაცვლად იმისა, ისევ იმ ტონით, რომ შვილისათვის გული არ ეტკინა, უთხრა: — აქ ფრონტია, ამიტომ მამობით კი არა, წოდებით უნდოდა მომმართოთ ჯარისკაცმა.

ოთარი მამა-პაპათა ღირსეული მემკვიდრე გამოდგა...

...გურიის სოფლებში ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი დათარეშობდა. მათ ცეცხლს მისცეს ნასაკირალთან მებრძოლი გლეხების ქოხები. მაშინ დაიწყო ნიკოლოზ ლესელიძის ქოხიც. ერთობის მეთაური ციმბირში გადაასახლეს. გამოიქცა, ტყეს შეაფარა თავი. იარაღი არ დაუყრია...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, ნიკოლოზის ოთხივე ვაჟი წითელი არმიის რიგებში ჩაირიცხა.

წარჩინებული კურსანტი სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იქვე დატოვეს ოფიცრად.

კონსტანტინეს მეუღლე ნინო იხსენებს ხოლმე მაშინდელ კოტეს: ტანმორჩილი, ხმელი, მკვირცხლი ბიჭი ყოფილა. ენერგიული, აზრიანი და შეუპოვარი. ტოლ-სწორების აღიარებული მეთაური იყო, მეგობრებს სჯეროდათ მისი, ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ მის სურვილს.


კოტე და ნინო 1925 წელს შეუღლდნენ. ერთი წლის შემდეგ ეყოლათ ოთარი, მოგვიანებით — იზოლდა.

ოცეულის მეთაური გახლდათ და მისი ოცეული საკუთრებოდა. თითით საჩვენებელი იყო მისი ბატარეა, ლეგიონი. დღითიდღე იზრდებოდა მეთაური კონსტანტინე ლესელიძე.

1931 წელს ქართული მსროლელი ლეგიონის მეთაურად და კომისრად ინიშნება. მალე ეს ლეგიონიც საკუთარი გახდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში და მეთაური წითელი დროშის ორდენით დაჯილდოეს. მოგვიანებით მკერდი წითელი ვარსკვლავის ორდენმაც დაუმშვენა.

1941 წლის თებერვალში პოლკოვნიკი ლესელიძე მინსკის სამხედრო ოლქის ერთ-ერთი კორპუსის არტილერიის უფროსად დაინიშნა და იქვე დაიწყო მისთვის დიდი სამამულო ომი.

გერმანელები მოსკოვთან დამარცხდნენ. კურსი შეიცვალეს. სამხრეთისაკენ გამოიჭრნენ და სურდათ საბჭოთა კავშირის დედაქალაქისათვის ზურგიდან დაერტყათ. აქ დახვდნენ მტერს 50-ე არმიის არტილერისტები. მეთაურმა კონსტანტინე ლესელიძემ ისე განალაგა თავისი ძალები, რომ ევროპაში იოლი გამარჯვებით გათამამებული გერმანელი გენერლის გუდერიანის სატანკო ნაწილები ჭალაქ ტულასთან მიამსხვრია. საბჭოთა არმია კონტრიერიშზე გადავიდა და მტერი მოსკოვიდან რამდენიმე ასეულ კილომეტრზე განდევნა.



50-ე არმიის არტილერიის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის და უმაღლესი მთავარსარდლის დავალების პირნათლად შესრულებისათვის 1942 წლის 2 იანვარს კონსტანტინე ლესელიძეს არტილერიის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

...1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვებია. სპეციალურად მომზადებული და საუკეთესოდ აღჭურვილი გერმანელთა სამთო დივიზიები დიდი ძალებით მოადგნენ კავკასიონს; ხელთ იგდეს ქლუხორის, მარუხისა და სანჭაროს უღელტეხილები. კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე დაიწყეს დაშვება, რათა დაეპყროთ სოხუმი, მისი გარემო და შემდეგ ქუთაისი-თბილისის მიმართულებით გამოჭრილიყვნენ. გენერალი ლესელიძე იმ დროისათვის კორპუსს მეთაუ-რობს. სწრაფად შეიკვანა კორპუსი ბრძოლაში, ჯარების სხვა ნაწილებიც მოიშველია და მტერს არ გადმოალახვინა კავკასიონი. ხოლო როცა 46-ე არმიის სარდლად დანიშნეს, ფაშისტური არმიის სიამაყეს—სამთო დივიზიებს სასტიკი დამარცხება აგემა. მტერი კავკასიონიდან კუდამოძუებული განდევნა. კავკასიონის უღელტეხილზე გამოჩენილი მხედართმთავრული ნიჭიერებისათვის კონსტანტინე ლესელიძეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა.

კონსტანტინე ლესელიძის მაშინდელი ცხოვრება დიდი სამხედრო მატიანეა. სტრატეგები ამბობენ, რომ ქართველი მხედართმთავრის ნიჭიერების ზენიტი იყო კავკასიაში გერმანელი ოკუპანტების უკანასკნელი სიმაგრის „ცისფერი ხაზის“ გამრღვევი ოპერაცია.

„ცისფერი ხაზის“ მთავარი დასაყრდენი იყო ძლიერად გამაგრებული, ძნელად მისადგომი ქალაქი ნოვოროსიისკი. მაშინ უკვე მე-18 არმიის სარდალმა თავის შტაბთან ერთად შეიმუშავა ორიგინალური, კომბინირებული საოპერაციო გეგმა: მტრისათვის ერთდროულად უნდა დაერტყათ სმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან. 1944 წლის 9 სექტემბერს, როცა არმია გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა, ბრძოლაში ერთდროულად მონაწილეობდნენ სახმელეთო ჯარი, საზღვაო და საჰაერო დესანტი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. სარდალი სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოეს. ერთი თვის შემდეგ მე-18 არმიამ ტამანის ნახევარკუნძული გაათავისუფლა. სარდალს ამჯერად კუტუზოვის ორდენი ერგო, კავკასიიდან სამუდამოდ ამოიგდეთეს ფეხი ფაშისტებმა.

ლესელიძე უკრაინის პირველ ფრონტზე იბრძოდა. ჟიტომირისა და ბერდიჩევის რაიონების განთავისუფლებისათვის ბოგდან ხმელნიცკის ორდენი უბოძეს. ახალგაზრდა, მაგრამ დიდად სახელმოხვეჭილი სარდალი ცხარე ბრძოლებშია და მაშინ, დიდი გამარჯვებები რომ დაეკვება, როცა ჯერ კიდევ იფურჩქნებოდა მისი ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი, ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

დამწუხრდა დედასამშობლო საამაყო შვილის დაკარგვით. მის საყვარელ თბილისში, ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს სამშობლოსათვის თავდადებული, ბრინჯაოს ბიუსტი დაუდგეს, მისი სახელი უწოდეს საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას, შავიზღვისპირეთის შესანიშნავ კურორტს.

სამშობლოს ჰყავს თავისი რჩეული ადამიანები, რომლებმაც სისხლით დაამტკიცეს მამულიშვილობა — ერთი მათგანი კონსტანტინე ლესელიძეა, რომელიც მარად დარჩება კეთილი ნების ადამიანთა სხოვნაში. ამ ორიოდე წლის წინათ, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს ვზეიმობდით, სარდლისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების ბრძანებულება გამოაცხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა.

არტილერია ომის ღმერთიაო — ამ ფრაზამ საბჭოთა არტილერისტების ბევრი ნიჭიერი თაობა აღზარდა. არტილერისტი იყო კონსტანტინე ლესელიძე და სურდა შვილიც არტილერისტი ჰყოლოდა. ოთარი იმ სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, რომელშიც ოდესღაც მამამისი ასწავლიდა. ოთარი კადრის ოფიცერი გახდა და მსახურობდა ამიერკავკასიაში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში.

ოთარს ყოველთვის ეამაყებოდა და ეამაყება მამის სახელი. პატარა ბიჭივით თავდახრილი ისმენს ხოლმე, როგორ უხსენებენ და უქებენ მამას ყოფილი თანამებრძოლები და მეგობრები.

და თუ კვიცი გვარზე ხტის და ჯარისკაცის შვილი ჯარისკაცი გახდა, მამის ხსოვნას იმითაც სცემს პატივს, რომ იმავე სამხედრო სასწავლებელში ასწავლის, სადაც მამა ასწავლიდა.

და როგორც ოდესღაც იმ დიდი ლესელიძისა, ამ ლესელიძის კურსანტთა დანაყოფიც საუკეთესოა თეორიულ, პრაქტიკულ და პოლიტიკურ მომზადებაში. და დღეს ოთარ ლესელიძეს უცხადებენ მადლობას არტილერისტთა კარგი კადრების აღზრდისათვის.

ჯემალ ქურხული



კონსტანტინე ლესელიძის ოჯახი

გარჯის ქართული სოფელი









ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნეს წლეულს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა თავიანთი დღესასწაული, სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღე — 14 ოქტომბერი.

რესპუბლიკის სახელოვანმა მეჩაიეებმა წლეულს ვადაზე ადრე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა და ნაკისრი ვალდებულება. ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 287 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ იმაზე მეტი, რაც უნდა დამზადებულიყო მეცხრე ხუთწლედის ბოლო წელიწადს.

მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი მიიღეს რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა; ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 22 ცენტნერს მიაღწია, დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და მზესუმზირის მიყიდვის გეგმა და ვალდებულებანი.

წარმატებით მიმდინარეობს ხილის, ყურძნის, მაქრის ჭარხლის, თამბაქოს, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლის აღება, მალე დაიწყება ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა. ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებანი გადაჭარბებით შესრულდეს.

დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს წლეულს რესპუბლიკის მეცხოველეებმაც. მათ გაზარდეს ფერმებში ყველა სახის პირუტყვის სულადობა და გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოებისა და სახელმწიფო დამზადების 9 თვის გეგმები.

ამ გამარჯვებისათვის მეცხოველეობის 1000 მუშაკი, მწველავი და მწყემსი დაჯილდოვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორდენებით, ხოლო წითელი წყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავს ზაირა ალხანიშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. საქართველოში დღეისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მინიჭებული აქვს 1318 სოფლის მეურნეობის მუშაკს, ხოლო 96500 კაცი დაჯილდოებულია მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე სრულიად იცვალა სახე ქართულმა სოფელმა. საქართველო გადაიქცა მსხვილი, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად. წარსულში არსებული ასიათასობით წვრილი გლეხური მეურნეობის ნაცვლად შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი მეურნეობები. რესპუბლიკის 1158 კოლმეურნეობასა და 272 საბჭოთა მეურნეობაში მოქცეულია თითქმის მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სოფლის მეურნეობა პრიმიტიულად წარმოებდა. მიწათმოქმედების ძირითად ტექნიკას ხის გუთანი და კავი წარმოადგენდა, მისი ენერგეტიკა ერთი უღელი ხარი იყო, მეურნეთა მნიშვნელოვან ნაწილს კი ესეც არ გააჩნდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგად მთელი მიწები მშრომელი გლეხობის განკარგულებაში გადავიდა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და კოლექტივიზაციის გამარჯვებამ სოფლად შექმნა პირობები საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის. ათვისებულ იქნა ასიათასობით ჰექტარი წინათ გამოუყენებელი მიწა. გაჩნდა სოფლის მეურნეობის ახალი სამრეწველო დარგები: სუბტროპიკული მეურნეობა და ტექნიკური კულტურების წარმოება. დიდად გაფართოვდა საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი უძველესი დარგები — მევენახეობა და მეხილეობა, მეთამბაქოეობა და მებოსტნეობა. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ვენახების ფართობი რესპუბლიკაში გაიზარდა 4-ჯერ, ბაღებისა — 4,3-ჯერ, ჩაის პლანტაციებისა — 70-ჯერ, ციტრუსოვანი კულტურებისა — 85-ჯერ, თამბაქოს პლანტაციებისა — 8-ჯერ, კარტოფილის ნათესებისა — 7-ჯერ, ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი — 24-ჯერ.

ფართობების ზრდასთან ერთად სისტემატურად მატულობს ამ კულტურების მოსავლიანობაც, რამაც უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდება და სახელმწიფო დამზადებათა გეგმების წარმატებით შესრულება.

დღეს უხერხულიც კია შევადაროთ დღევანდელი მაჩვენებლები 1921 წლის დონეს, მაგრამ დიდი სამამულო ომის წინა პერიოდს — 1940 წელსაც თუ შევადარებთ, ეს ზრდა საკმაოდ თვალსაჩინოა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა ამ პერიოდში გაიზარდა: ჩაის ხარისხოვანი ფოთლისა — 5-ჯერ, ყურძნისა — 11-ჯერ, ხილისა — 11-ჯერ, ბოსტნეულისა — 6,5-ჯერ, კარტოფილისა — 3-ჯერ, ხორცისა — 2,5-ჯერ, რძისა — 7,5-ჯერ, კვერცხისა — 14-ჯერ.

წლითიწლობით მდიდრდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება. სადღეისოდ საქართველოს სოფლის მეურნეობას ემსახურება მრავალ ათასობით ტრაქტორი, მარცვლეულის კომბაინი, სატვირთო ავტომობილი. დიდ ტექნიკურ დახმარებას უწევს საკავშირო მრეწველობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას. მარტო გასული ხუთწლედის მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიიღო 15253 ტრაქტორი, 10328 ტრაქტორის გუთანი, 3660 სათესი მანქანა, 1123 მარცვლეულის კომბაინი, 800-მდე ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, 6923 სატვირთო ავტომობილი და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მიწის ხვნა, თესვა, ნათესებისა და ნარგავების რიგთაშორის დამუშავება, მოსავლის აღება ძირითადად მანქანებით სრულდება. სულ უფრო ფართო გამოყენებას პოვებს სოფლის მეურნეობაში ავიაცია. ბაღ-ვენახებისა და ნათესების შეწამვლა, სასუქების შეტანა ბევრგან თვითმფრინავებით ხდება.

ფართოდ ინერგება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ელექტროენერგიის გამოყენება. საქართველოს ყველა სოფელი ელექტრიფიცირებულია. ცხვრის პარსვა, ძროხების წველა, ფერმებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების დასუფთავება ბევრგან მექანიზებულია.

საქართველოს გლეხობა წინათ სრულებით არ იცნობდა მინერალურ სასუქებს, დღეს კი მინდვრებსა და პლანტაციებში ყოველწლიურად შეაქვთ 700 ათას ტონამდე სხვადასხვა სახის მინერალური სასუქი. დიდი მასშტაბით ხდება მყავე რეაქციის ნიადაგების გაკირიანება. ბიცობი ნიადაგების მელიორაცია, მიწების გასანოყიერებლად შეაქვთ ათასობით ტონა ტორფფოსფორიანი კომპოსტი, ასეულობით ჰექტარი იწმინდება ქვებისა და უსარგებლო ბუჩქნარებისაგან, შენდება ქარსაფარი ტყიანი ზოლები, მეურნეობებში ინერგება თესლბრუნვა. სასუქების სწორად გამოყენებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხელმძღვანელობენ ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები.

ქართველი გლეხი ოდითგანვე იცნობდა წყლის სიკეთეს მოსავლიანობის გადიდებისათვის, მაგრამ დიდი მასშტაბით მისი განხორციელების საშუალებები მას არ გააჩნდა. ქართველი კომუნისტები საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდანვე შეუდგნენ დიდი ლენინის მითითებათა განხორციელებას მიწების მელიორაციის შესახებ.

დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში აშენდა მუხრანის, ვანათის, თეზიოკამის, ტაშისკარის, სალთვისის, დოესგრაკლის, სკრა-ქარელის სარწყავი სისტემები, რომლებიც ათასობით ჰექტარ მიწებსა რწყავს. ძირფესვიანად შეიცვალა სახე თბილისის მიდამოებმა, წინათ მხისაგან გადახრუკული ველ-მინდვრები გამოაცოცხლა ივრის წყალმა, რომელიც სამგორის სარწყავი სისტემის მეშვეობით თბილისის „ზღვაში“ გროვდება. ეს მიწები დღეს გადაქცეულია აყვავებულ ბაღნარებად. აქ კარგად ხარობს ვაზი, ხეხილი, ბოსტნეულის უხვი მოსავალი. სის შემოგარენში შეიქმნა საბჭოთა მეურნეობები. სარწ წების ფართობი საქართველო ათას ჰექტარს აღწევს.

ფართოდ გაიშალა მუშაობა ალაზნის სარწყავი სისტემის ლობისათვის, რომლის დამთა თვალისწინებულია 1977 წ მან უნდა მორწყას დამატებ ათასი ჰექტარი კახეთის ნაყი ამასთან ერთად ფრიად გაუმ ზამთრის საძოვრების უზრუნ პირუტყვის სასმელი წყლით.

დიდი სამუშაოები ხორც კოლხეთის საუკუნოვანი ჭაობ საშრობად. მარტო გასულ ორ დში დაშრობილ იქნა 45 ათას რი ნაყოფიერი მიწა, რომელზ სდა მრავალი საბჭოთა მეურნ დინარე ხუთწლედში კიდევ ი რობილი 50 ათასი ჰექტარი წები გამოიყენება ძირითადად სუბტროპიკული კულტურების ბლად.

საქართველოს სოფლის მე აღმავლობაში დიდი წვლილ მეცნიერებას. რესპუბლიკის მეურნეობას ემსახურება 8 ვი სამეცნიერო-კვლევითი და 6 საცდელი სადგური თავ ლიალებით, დასაყრდენი პუნქ ექსპერიმენტული მეურნეობე დაწესებულებებში ნაყოფიერ ეწევა 1576 მუშაკი, 47 მეც დოქტორი, 500-ზე მეტი მეც კანდიდატი.

დიდმნიშვნელოვან სამეცნიერ ობას ეწევა აგრეთვე რესპუბ მი უმაღლესი სასოფლო-სამეურ სწავლებელი: სასოფლო-სამეურ სტიტუტი, სუბტროპიკული მეურ ინსტიტუტი და ზოოვეტერინარ წავლო-კვლევითი ინსტიტუტი. ცნიერო დაწესებულებებში ბული და პრაქტიკულად გამოყ ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძ მარისია დავასახელოთ ქართველ ნიერების მიერ შექმნილი ჩაი ფი მანქანა „საქართველო“, ბ ბის სასხლავი და რიგთაშორი გის დამმუშავებელი მანქანებ ხეხილის, ვაზის, სიმინდის, სოი ბიოს, ბოსტნეული კულტურები უხვმოსავლიანი ჯიშები, პირველ ქართველოში დამუშავდა და მასშტაბით პრაქტიკულად განხო და სეტყვის საწინააღმდეგო ღო ბანი.

რესპუბლიკის სოფლის მეურ აღმავლობაში დიდი როლი შე სასოფლო-სამეურნეო განათლებ სოფლის მეურნეობას სპეციალ ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგ

...ის მაღლი

...ალი



...ი გურიის სოფელი შრომა.

...ელად მოაზროვნე ადამიანები წა...დნენ იმ დროს, როდესაც საქარ...ოს ეყოლებოდა 30 აგრონომი და ...ერი. სპეციალისტთა ამდენი რაო...ბა დღეს ერთ მსხვილ საბჭოთა მე...ობასა ან კოლმეურნეობაშია, ხო...რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას ...ერება 19 ათასზე მეტი უმაღლე... საშუალო განათლების სპეციალი... საქართველოში დღეს 31 სასოფ...სამეურნეო ტექნიკუმია.

...ელის მეურნეობის ეკონომიკის ...ლობამ უზრუნველყო გლეხობის ...იალური მდგომარეობის დიდი გა...ბესება. სრულიად იცვალა სახე ...ელმა სოფელმა. აშენდა ათიათა... ორსართულიანი საცხოვრებელი ..., მოასფალტებულია ქუჩები, გა...ელია წყალსადენები. სოფლად დღეი...ს არის 3704 დაწყებითი, არასრული ...ული საშუალო სკოლა, სადაც სწავ...ს 549 ათასი ბავშვი, გარდა ამისა, ...ს ზოგადსაგანმანათლებლო სკო... დადის 123 ათასი ახალგაზრდა. ...ად არის 2925 საზოგადოებრივი ...თეკა, 1737 კლუბი, 1395 კინო...გარი, 261 საავადმყოფო, 846 ...ეინო ამბულატორია და პოლი...კა. სოფელს ემსახურება 1446 ... და 8334 საშუალო განათლების ... სამედიცინო პერსონალი.

...ჩნობლად გაიზარდა სოფლის ...ლეობის საყოფაცხოვრებო დონე, ...ო გასულ ხუთწლედში გაიყიდა ...ად 110 ათასამდე ტელევიზორი, ...ათასი რადიომიმღები და რადიოლა, ...ასი მაცივარი, 56 ათასი სარეცხი ...ნა, 10 ათასამდე მოტოციკლი, 60 ... ველოსიპედი, 66 ათასი საკერავი ...ნა, 472 ათასი სხვადასხვა სახის ...ი.

...ტო გასულ წელს, ისიც მხოლოდ ...შრის ხაზით, სოფლის მოსახლე... მიეყიდა 4.011 მსუბუქი ავტო...ნა, ხოლო მიმდინარე წლის 9 თვის ...ლზე — 3.335 მსუბუქი ავტომანქანა.

...სპუბლიკის სოფლის მშრომელები ...ეულით არ კმაყოფილდებიან, მათ ...ე კიდევ უფრო დიდი და კეთილ... ამოცანებია დასახული.

...ამად სოფლად გაჩაღებულია შე...ედებითი შრომა, ყველა კოლმეურ...ა, საბჭოთა მეურნეობა, სამეცნიე... დაწესებულება თუ სხვა სასოფ...სამეურნეო ორგანიზაცია ჩაბმულია ...იალისტურ შეჯიბრებაში და იბრძ...ი იმისათვის, რომ პირნათლად გაანაღ... ნაკისრი ვალდებულება და გადა...ებით შეასრულოს სახელმწიფო გე...ი, რათა კიდევ უფრო ძლიერი და ...ებული გახადოს ქართული სო...ი.

იოსებ რთველიაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

მთელმა მსოფლიომ იცის ქართული მიწის მშვენებათა შორის ერთი უმშვენიერესი ბარაქის — ქართული ვაზისა და მისეული ღვინის მადლი თუ სიკეთე. არ არის ქვეყნად არც ერთი ცნობილი თუ უცნობი მეღვინე, ვინც პატივისცემით არ იხსენიებდეს ჩვენი მევენახისა და მეღვინის მადლცხებულ ნახელავს „წინანდალსა“ თუ „გურჯაანს“, „ახაშენსა“ თუ „მანავს“, „ქინძმარაულსა“ თუ „ხვანჭკარას“, „ახმეტასა“ თუ „თეთრას“... ვინ მოსთვლის ჩვენი მიწის, მზის, წყლისა და ქართველი კაცის მარჯვენის მადლიანი გარჯის ნაყოფსა თუ ნაამაგარს, რომლებიც საამაყოდ ქართველი კაცისა განთქმულნი არიან დედამიწის ყოველ კუთხეში, სადაც ამ ხაამო და საჭანმრთელო ნექტარის მადლი ფასობს. ამის თაობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, ბევრიც კიდევ ითქმის და დაიწერება.

მსოფლიო აღიარება ქართულმა ღვინომ დიდი ხნის წინათვე მოიპოვა, მაგრამ ამ აღიარების დაკანონება და სრულყოფა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მოხდა, ქართული სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ბაზაზე გარდაქმნის შედეგად არნახულ განვითარებას მიაღწია ჩვენმა ვაზმაც და მისმა ნაყოფმაც. მთელი საბჭოეთი გახდა მისი პირველი კეთილი დეგუსტატორი და მადლიანი შემფასებელი. საქართველოში დაარსდა მძლავრი გაერთიანება „სამტრესტი“, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქართული ღვინის დამზადება-დამუშავებისა და პოპულარიზაცია-გასაღების საქმეს.

ქართულ ღვინოს, ისევე როგორც ყველა ნატიფად შექმნილ ნახელავს, მგზავრობა უჭირს, ამიტომაც გადაწყვიტეს მეღვინეებმა ღვინის ქარხნების შექმნა ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალ ქალაქში, რათა ადგილზე მოეწყოთ ღვინის დამუშავება, დაწმენდა, დახანება და ჩამოსხმა, რითაც კიდევ უფრო ამაღლდებოდა ხარისხი, ვარგისიანობის დონე. ერთი ესეთი ქარხანა მოეწყო ჩრდილოკავკასიის მინერალური წყლების ბაზაზე საქვეყნოდ ცნობილი კურორტების მხარეში, კურორტ-ბაღნარ კისლოვოდსკში, რაც გაპირობებული იყო ჩვენი ვაზის ბარაქის სამკურნალო თვისებებითაც.

— 1948 წელს შეიქმნა აქ „სამტრესტის“ ღვინის ქარხანა, რომელიც ამარაგებდა და ამარაგებს კისლოვოდსკს, ესენტუკს, პიატიგორსკს, უელენოვოდსკს, მთელ ჩრდილოკავკასიას, — მითხრა კისლოვოდსკის ქარხნის დირექტორმა ალექსანდრე ტოგონიძემ, — თავდაპირველად ქარხანა მოთავსებული იყო შემთხვევით გამოყოფილ შენობაში, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მეთოდებით ღვინის დამუშავებისათვის აუცილებელ პირობებს. მის შექმნასა და სრულყოფაში დიდი წვლილი მიუძღვის დღეს უკვე პენსიონერს გიორგი დიდიას, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ამ მხარეში ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის. მაგრამ დრომ თავისი მოითხოვა და 1969 წელს დავიწყეთ და 1972 წელს საექსპლუატაციოდ ჩავაბარეთ ეს ქარხანა, რომელიც ღვინის დამუშავებისა და ჩამოსხმის თანამედროვე ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

— ვინ ააშენა ქარხანა?

— ქარხნის მშენებლობის ინიციატორი იყო „სამტრესტი“, პროექტი მოამზადა საქართველოს ჩვენის მრეწველობის საპროექტო ორგანიზაციამ, მშენებლობა დაფინანსა სახელმწიფო ბანკმა, რაც სამი წლის განმავლობაში უნდა დაიფაროს დღიდან ქარხნის ექსპლუატაციაში შესვლისა. ღვინის ჩამოსასხმელი მექანიზმები დამზადებულია მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში. ლითონის კასრები დაგვიმზადა ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, მშენებლობას ასრულებდა ადგილობრივი სამშენებლო ორგანიზაცია.

— როგორია ქარხნის შემოსავლის ბედი?

— შემოსავლის ნაწილით იფარება სესხი. მოგებას მთლიანად ვურიცხავთ საქართველოს სს რესპუბლიკის ბიუჯეტს.

— ქარხნის სიმძლავრე?

— პროექტით წლიურად უნდა ჩამოსხმულიყო 300.000 დეკალიტრი. მაგრამ მშენებლობის პროცესში მანქანა-დანადგარების გამართვისას ქარხნის სიმძლავრე თითქმის გაორკეცდა, ქარხანა მუშაობს თბილისის, მუკუზნის, გურჯაანის, ველისციხის, არგვეთის, ზესტაფონის, თერჯოლის ღვინის ქარხნებიდან მოსული მასალით. ადგილობრივი ხელისუფლება, პარტიული ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს როგორც ქარხნის მშენებლობისას, ისე მისი ექსპლუატაციის დროს ნორმალური სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად.

მეგობრობის ერთი კერა

— როგორც ცნობილია, კისლოვოდსკი ადმინისტრაციულად შედის რსფსრ-ს შემადგენლობაში, ამდენად ქარხანაც რუსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, როგორია ქარხნის მართვის სტატუტი?

— როგორც ხედავთ, ქარხნის დირექტორი გახლავართ მე...

— ცოტა რამ თქვენს შესახებ, როგორ აღმოჩნდით აქ?

— მე აქ დავიბადე. მამაჩემი სანდრო რაჭიდან არის, სოფელ ძეგალეთიდან, დედა — ცხმორიდან, ონელები ვართ. ძველი რაჭის პირობებში ბევრი იქაური მკვიდრი ტოვებდა მშობლიურ ადგილებს სარჩო-საბადებლის ძებნაში, მამაჩემი დედაჩემთან ერთად ჯერ კიდევ 1913 წელს გადმოსახლებულა ამ საკურორტო მხარეში, სამზარეულო საქმე ჰქონია — მოგეხსენებათ, რაჭველებმა კერძიც კეთილი ვიცით და პურიც გემრიელი. მეც აქ გავიზარდე ქართულ ოჯახში.

— თქვენს გარდა სხვებიც მუშაობენ ქართველები?

— მთავარი ინჟინერია გიორგი ჩლაიძე, ღვინის მასალის საამქროს ხელმძღვანელობს ვლადიმერ ჩიტალაძე, ჩამოსხმის საამქროს — გურამ კიკვიძე, ტარის საწყობს — ბორის ბოხაშვილი. აქვე მუშაობენ მრავალი ეროვნების წარმომადგენლები — რუსები, ყარაჩაელები, სომხები, ებრაელები და სხვანი, რომლებიც ერთიან შრომით კოლექტივს ქმნიან და ნამდვილ ძმურ ოჯახად ემსახურებიან ქართული ღვინის მოვლა-პატრონობის საქმეს, თუმცა, როგორც შენიშნეთ, წამყვან უბნებს ჩვენ ვუდგევართ სათავეში.

— ბუნებრივია, ქართული ღვინის საქმეს ქართველი კაცი უნდა ხელმძღვანელობდეს ქართულ ქარხანაში.

— ჩვენი ქარხნის გარდა, აქ სხვანიც არიან თანამემამულენი, რომელთაც წამყვანი როლი აქვთ მინიჭებული ადგილობრივი ცხოვრების წარმართვის საქმეში. მაგალითად, ირაკლი თოფურია ჩრდილოკავკასიის სპეციალიზებული სანატორიუმების სამმართველოს უფროსია, სანატორიუმ „კლდეკარის“ მთავარი ექიმია ლუარსაბ შარაშენიძე, შაუმიანის სახელობის სანატორიუმის მთავარი ექიმია ნიკოლოზ ხარებავა, ქალაქის სპორტულ საქმეს ხელმძღვანელობს შალვა გავაშელი, ხოლო ჩემი ძმა გრიგოლ ტოგონიძე პურის ერთადერთი დიდი ქარხნის დირექტორია; მოგეხსენებათ, ჩვენში კაცური-კაცობის უპირველესი საზომი ადამიანის ცოდნა და ნიჭიერებაა, ეროვნული უფლებები კი ყველასათვის თანაბარია.

— კისლოვოდსკში ბევრნი ხართ ქართველები?

— ბევრნი არა ვართ, ქართველ კაცს არ უყვარს საქართველოს გარეთ სახლობა, მაგრამ აქ მცხოვრებთაგან ყველანი ღირსეულად ატარებენ მამულიშვილის სახელს, სადაც შრომობენ, ყველგან პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობენ.

— ქართული ენის შენარჩუნების საკითხი?

— ქართულს თვალისჩინივით ვუფრთხილდებით. უმთავრესად ოჯახებში ვინახავთ. პაპები და ბებიები შვილიშვილებს ასწავლიან დედაენას, წიგნებიც გვაქვს, ნათესავებთანაც არ ვწყვეტთ მტკიცე კავშირს.

— ენის შენარჩუნების კერა მაინც ოჯახია?

— დიახ. ოჯახი ინახავს ენას და გადასცემს თაობებს. მე ვიცი შერეული ოჯახებიც. უმთავრესად ისეთები, როცა ქართველ კაცს სხვა ეროვნების მეუღლე ჰყავს. იქ ქართული ენის მასწავლებლის როლს ასრულებენ მამის მშობლები, მაგრამ თუ ისინი აღარ არიან, ან საქართველოში ცხოვრობენ, მაშინ თვით ქართველი მშობელი კისრულობს პედაგოგობას და ბავშვებს მხოლოდ ქართულად ელაპარაკება. ბავშვიც თავიდანვე ეჩვევა ოჯახში ორ ენაზე საუბარს და თუ დედას რუსულად ელაპარაკება, მამას მხოლოდ ქართულად მიმართავს. ამ პირობებში ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა დედაც სწავლობს თავისი შვილების ენას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახი საქართველოსთან არის დაკავშირებული ნათესავ-მოკეთეებით.

...იმავე დღეს მასპინძელმა შემახვედრა პარმენ ჯაფარიძეს, რომელიც 75 წლიდან 55 წელიწადია აქ ცხოვრობს.

— ალაგირში დავიბადე, ორჯონკიძიდან ორმოცი კილომეტრია, ქართველების ორასკომლიანი სოფელი იყო. ჯერ კიდევ ბალღობაში, 1913 წელს, მაშინ 15 წლისა ვიყავი, ჩვენებურმა ვანო ლობჟანიძემ შემაცდინა — მიჰყები ამერიკაში მივდივართ ფულის საშოვარზე და არ ჩამოგვრჩეო. ოცდაათამდე ახალგაზრდა წავედით ვლადივოსტოკში, იქიდან გემებით გაჰყავდათ მუშახელი... მოლარემ ბილეთი არ მომცა — პრისტავის ნებართვა არა გაქვსო. ვანოსაცა და დანარჩენებსაც ჰქონდათ, იცოცხლე, მე ვანოს ვეჩხუბე, მარა... ისინი წავიდნენ, მე კი დავრჩი და შინ წამოვედი.

— ალაგირში დაბრუნდით?

— ის იყო ჩემი სოფელი, მაგრამ დენიკინელების დროს მთელი სოფელი აიყარა და საქართველოში წამოვედით, ლაგოდეხის რაიონში დავსახლდით, ვინმე ჯანგიროვის მიწები მოგვცეს სოფელ გიორგეთში.

— თქვენა?


— მე ვერ მოვისვენე და აქ დავმკვიდრდი. კვების მრეწველობის მუშაკთა დღე რომ არის, კისლოვოდსკში ყველაზე მეტად ჩვენ ვზეიმობთ. — საცა კი სანატორიუმი და რესტორანია, უფროსი მზარეული აუცილებლად ჩვენებურია. ახლა პენსიაზე ვარ, მარა თუ დამჭირდა, ჯარასავით დავტრიალდები.


— ის ოცდაათამდე ქართველი რაღა იქნა, ამერიკაში რომ გააცილეთ ვანოსთან ერთად?

— ბევრი მალე დაბრუნდა, ცოტა იქ დარჩა — გამყრელიძე იაგორ სიმონის ძე, ჩემი ბიძაშვილია დედიდან, ჩიკვილაძე თომა ვასილის ძე, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ გარდაიცვალა და რომლის მეუღლემაც მის ძმას ლუკას წერილი მოსწერა — დამეხმარე, ჩემი შვილებით მინდა მანდ გადმოვსახლდეო, მაგრამ ლუკასაც ველარ დასცალდა, თვითონაც გარდაიცვალა; მეტრეველი მელიტონ ივანეს ძე... მათი ასავალ-დასავალი არაფერი ვიცი... ხდება ხოლმე, ახალგაზრდობაში დაშვებული შეცდომა სიბერეში აწვალებს ადამიანს, მაგრამ ჩვენი სახე, ქართველობა მაინც არ უნდა დავკარგოთ არსად, არაფერი არ უნდა გავაკეთოთ ისეთი, რაც ჩვენს ქართველობას შეარცხვენს.

შენს პირს შაქარი, ჩვენო კეთილო თანამემამულეებ!

გიორგი მუხიგულაშვილი





სურათზე: ქარხნის ჩამოსასხმელი საამქრო. ადმინისტრაციული შენობა.

ჯარის-კაცი მშობლიურ მიწას მიაბარეს



1939 წლის ნოემბერში უკანასკნელი გაკვეთილი ჩაატარა ნიკო პავლიაშვილმა. მის მოსწავლეებს დღესაც ახსოვთ, როგორ გამოემშვიდობა მაშინ მასწავლებელი.

— საბრძოლველად სამხედრო სამსახურში მივდივარ და ხვალიდან ჩემს მაგივრად სხვა მასწავლებელი გეყოლებათ. აბა, თქვენ იცით, კარგად ისწავლეთ, დავბრუნდები და ისევ შევხვდებით.

დავბრუნდები და შევხვდებითო, მაგრამ მოსწავლეები ისე დავაუკაცდნენ და დაქალდნენ, მასწავლებლისა აღარა გაუგიათ რა. სამ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა, ნიკო პავლიაშვილისა არაფერი იცოდნენ სოფელში.

...წლეულს, 30 სექტემბერს, თანასოფლელები და ყოფილი მოსწავლეები ნიკო პავლიაშვილს ასაფლავებდნენ.

სატანკო ნაწილში მსახურობდა სერჟანტი პავლიაშვილი, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო. პირველსავე ბრძოლებში ჩაება, ივლისიდან კი მის შესახებ არავითარი ცნობა აღარ მოსულა.

ამ ორიოდე კვირის წინათ უკრაინელმა პიონერებმა ჩერკასის ოლქის სოფელ ხრისტინოვკაში მეომრის ნეშტი აღმოაჩინეს. თავდაპირველად მოსწავლეების ყურადღება მიწიდან ამოშვერილმა შაშხანის ლულამ მიიპყრო. გათხარეს ჩანგრეული ძელმიწური და ორი მეომრის ნეშტი აღმოაჩინეს. იქვე ეყარა ვაზნები, დანა, ოდეკოლონი „იასამანი“ და მებრძოლის მედალიონი, რომელიც უკრაინელ პიონერებს ამცნობდა საბჭოთა მეომრის ვინაობას: „უმცროსი სერჟანტი ნიკოლოზ მიხეილის ძე პავლიაშვილი“. მებრძოლს ფანქრით მიეწერა მისამართი: „საქართველოს სსრ, საგარეჯოს რაიონი, სოფელი კაკაბეთი. მანია და ვანო ბაღდადაშვილებს“.

ქართველი ჯარისკაცის გვერდით მოსკოველი ბაიკოვის ნეშტი აღმოჩნდა.

ობოლს გამზრდელი მამიდისა და ძმასავით შეზრდილი მამიდაშვილის მისამართი დაეწერა მედალიონზე და როდესაც კაკაბეთში ხრისტინოვკიდან დეპეშა მოვიდა ნიკო პავლიაშვილის სამარის აღმოჩენის შესახებ, მთელი სოფელი, მთელი რაიონი შეიძრა. სამშობლოსათვის თავდადებული ჯარისკაცის ნეშტზე ყველამ იზრუნა. ჩერკასის ოლქში კი სასწრაფოდ გაემგზავრა ნიკოს მამიდაშვილი ვანო ბაღდადაშვილი, თვითონაც სამშობლოს ყოფილი დამცველი. მასთან ერთად იყო აგრეთვე კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე გიორგი ნანუაშვილი.

ოცდათოხმეტი წლის განშორების შემდეგ ნიკო პავლიაშვილი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. ჯარისკაცის გასვენებაში მთელი სოფელი მოვიდა. მოვიდნენ მეზობელი სოფლებიდან. აქ იყვნენ რაიონის თავკაცები, საქართველოს პრესისა და რადიოს მუშაკები. ძაძებმოსილი დედაკაცები დასტიროდნენ ნიკო პავლიაშვილს და მასთან ერთად დასტიროდნენ თავიანთ სამას შინმოუსვლელ შვილს, ძმას, ქმარს, სისხლით ნათესავს თუ სულით მეგობარს.

30 სექტემბერს კაკაბეთის მშობლიურმა მიწამ გულში ჩაიკრა თავისი ღირსეული შვილის ნეშტი. სექტემბერში დაბადებულ ჯარისკაცს წლევანდელ სექტემბერში მეორე დაბადებამ უწია. გმირები არა კვდებიან! — ითქვა მტირალზე, და ითქვა ისიც, რომ კაკაბეთში, კახეთის ამ ერთ-ერთ დიდებულ სოფელში, აღიმართება შინმოუსვლელთა ობელისკი, იშრიალებს სამასი ძირი ხე, რათა უკვდავი იყოს სამშობლოსათვის დაცემული სამასი კაკაბეთელის სახელი.

ჯემალ მათურელი



სამადლობელი

ახმეტის აწყურიდან წამოსულ ბიჭს ლექსები მოჰქონდა დედაქალაქში, ოღონდ სხვათა ლექსები — ზეპირად იცოდა დიდ წინაპართა შემოქმედება. თბილისის უნივერსიტეტს მიადგა, ფილოლოგიურზე აბარებდა. ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე ერთ-ერთ საკითხად ტარიელის დახასიათება შეხვდა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნიდან“.

და დაიწყო შოთა ხოდაშნელმა „ვეფხისტყაოსანი“. თავდადაც დაიწყო, ოთხ საათს უსმენდნენ პროფესორები ივანე იმნაიშვილი და იოსებ ბოცვაძე. ხანდახან ჩაერეოდნენ ხოლმე გამომცდელები — აბა ეხლა აქედანო, და აწყურელი ბიჭი „ვეფხისტყაოსნის“ ახალ თავს იწყებდა. „ნანეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“...

პროფესორები დარწმუნდნენ, რომ ბიჭმა „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. გაიხარეს, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან მიიყვანეს და „ხუთიანი“ დაუწერეს.


მერე შოთა ხოდაშნელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, დღეს — საქებარი პედაგოგის ალექსანდრა მდივნიშვილის მიერ გადივებული სიყვარული ქართული ლიტერატურის მიმართ კიდევ უფრო გაიღრმავა. უნივერსიტეტი 1961 წელს დაამთავრა. ამჟამად მუშაობს. ყავს ცოლ-შვილი. ისევ და ისევ ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“ თუ ილიასეული „განდეგილი“ და „კაკო ყაჩაღი“, ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“ თუ „ალუდა ქეთელაური“, აკაკის „გამზრდელი“ თუ „თორნიკე ერისთავი“, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, გრიგოლ აბაშიძის თუ სხვათა ლექსები.

თვითონაც კარგ ლექსებსა წერს. ავტორია პოეტური კრებულისა „ნაცნობი ბილიკი“. კიდევ გამოვა შოთა ხოდაშნელის ორი წიგნი. გთავაზობთ მისეულ ლექსს.

შოთა ხოდაშნელი

ქართველ ქალებს!

ქვეყანა უსმენს კახის თუ ლაზის
ვაჭკაცურსა და
ლამაზ სიმღერებს.
საქართველოში ვინა თქვა ვაზის,
სიმღერისა და
ლექსის სიბერე.
თავის ხმალს იქნევს დიდი თუ მცირე,
დიდი იმედი ყველას ამშვენებს —
ცამდე ასული გვერი ტაძარი
ჭვრელი ქვით არის თურმე ნაშენი.
ქართველ მეგუთნეს,
მეზვრეს,
მეომარს,
ვინაც სიცოცხლე ბრძოლით გალია,
დაკოჭრილ ხელით უშენებია,
რაც ჩვენს მიწაზე რამ ტაძარია!
არ ასვენებდათ სასტიკი შამი,
იბრძოდნენ,
წერდნენ,
აგებდნენ,
ქმნიდნენ.
დაკოჭრილ ხელებს ეჭირათ მარაღ
გუთანი,
ქაფჩა,
ხმალი თუ
მშვილდი.
როცა დაბრუნდა ზღვა სიყვარული,
სიმღერამ ზეცას ჰკრი ახადა —
ჰე, წამოვიდა ზვავად „ლაშქრული“,
„შენ ხარ ვენახი“ იქცა ღაღადად.
გენიერია, ვისაც ერთხელაც
ქართული ღამე უთენებია —
შეხედეთ ხელებს,
დაკარღვულ ხელებს
ქართული მიწის სურნელებიანს.
ვაჟა მშრომელის ძალას და სინდისს,
მოუცლელობას,
არდაღონებას,
ხასხასა ზვრებით ქართული მიწის
პოემასავით დასტრიქონებას...
დიდი სიცოცხლე ვინც გაათელა
და სიხარული აღმართა ცამდის,
ნუ მოემშალოს ჩემს საქართველოს
მაგ დაკოჭრილი ხელების მადლი!



ზაირა

ზაირაა... სად დაიკარგე, გოგო! დღენიადაგ გამალებული დაეძებდა ხოლმე დედა პატარა ზაირას და თავისთვის ბუტბუტებდა — გოგო კი არა, ქაჯია ნამდვილი. არ ვიცი, რა გამოვა, საქალო საქმეს ეგ არ ეკარება, ჯარა-საჩეჩელს ახლოს არ უდგება, გული სულ სავარკაცო საქმეზე მიუწევს. ნეტავი ეგ მეშვიდეც ბიჭი მყოლოდა...

— აქა ვარ, დედილავ! — გვიან შეეხმიანებოდა ხოლმე შემკრთალი გოგონა დედას და იმის შიშით — არ დამტკნარსო, ფეხაკრეფით შევიდოდა ეზოში.

— სად რა იყავ, ნეტარა, რაისთვის დასვალე იმ კლდე-ღრეშია, არსა გადაიჩეხო, ან აფთარს არსაით გადაეყარო, ან დათვსა. რაისად ვერ დამჯდარხარ თავის შინა...

— რაად რა მიწყრები, დედი, მამასთან ვიყავ, წიქარა ფური ჩამოვწველე, აუჰ, რა რიგი ღალიანი რძე აქვ...

შეუმჩნევლად იღოდნენ ბავშვობის წლები. იზრდებოდა ზაირა მთათუშეთის პატარა სოფელ ომალოში და მიხვილ ალხანიშვილის მეშვიდე შვილს შეეღერებისას თან მისდევდა ამ გოლიათი მთების ზვიადი ბუნება და ლამაზი გარეგნობა.

ათი წლის გოგონა მამას დასდევდა ლანდივით — ხან საძოვარზე გაშლილ ძროხის ნახირს მწყემსავდა, ხან საწველელით ხელში ფურს მიუჯდებოდა და მამის გულს აამებდა.

...გაიზარდა მთების ქალიშვილი. საფიქრალი გაუჩნდა — სოფელ ჯოყოლოში მცხოვრებმა გუმაშვილების ჭაბუკმა სული აუფორიაქა. რაკი ერთხელ გულში ჩაიგდო ზაირას სიყვარული, სხვაზე აღარც უფიქრია.

...ერთ მშვენიერ დღეს მთიული ჭაბუკების ცხენთა თქარა-თქურმა და თოფის ჭუხილმა შეხძრა მიყუჩებული მთების არემარე. ზაირა ჯოყოლოში წაიყვანეს. პატარძალს ძროხების მოვლა ეხერხებოდა და კოლმეურნეობის ფერმაში მწველად დაიწყო მუშაობა.

შრომა, მხოლოდ პატიოსანი შრომა იყო ზაირას ოცნება. შრომის ქვეყანაში ხომ მხოლოდ ამ გზით აღწევენ ადამიანები ბედნიერ ცხოვრებას, ქეთილდღეობას.

ახალგაზდობამ კიდევ უფრო ძალუმად აგიზგიზეს კერაზე ცეცხლი, დოვლათი მოხვაედა ახალ ოჯახში. მაგრამ... უბედურმა შემთხვევამ მოულოდნელად დააჭირვიკა ზაირა, ცალუღლად დარჩა თავისი ორი პატარა ვაჟკაცით.

გული ნაღვლმა დაუღარა, მაგრამ სასოწარკვეთას არ მისცემია.

ზაირამ აღარ მოისურვა იმ არემარეში ყოფნა, სადაც გულისტკივილი არ ეგულებოდა. იქაურობას გაეცალა, ტკბილი მოგონებების ამშლელი კერა მიატოვა და ბარში ჩამოვიდა შვილებით.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში ითხოვა სამუშაო. გაუგეს, მიიღეს, დაეხმარნენ, აჭაურ მწველავ ქალთა მარაქაში გარიეს.

მთიელი ქალი მალე შეეჩვია ახალგაცხობილ მეგობრებს, გუნება შეუწყო. ახალგაზრდული ძალ-ღონე ალალ შრომას მოახმარა. ახალ კერაზეც მძლავრად აგიზგიზდა ცეცხლი. პატარებს უმამობა არ დაატყო. ქვეყნის სასარგებლო ადამიანებად დაზარდა. უმაღლესი განათლება მიიღეს ბიჭებმა და საყვარელ სამშობლოს სიკეთეს, მის შემდგომ ძლიერებას ემსახურებიან დღენიადაგ.

20 ფურს უვლის ზაირა. ფერშაში მისვლისას თანამდგომმა ქალებმა უთხრეს — ჩვენ 1800 ლიტრ რძეს ვწველით თითოეულ ფურზე წელიწადშიო. ზაირას ებევრა. მთის ფურები ხომ ამდენ რძეს არ იძლევიანო!

ფერმაში ზაირას მექანიზაციაც წამოეშველა და წლის ბოლოს ყოველ ფურზე 2000 კილოგრამი რძე ჩაბარა კოლმეურნეობას. ოჯახის შემოსავალმაც იმატა, იმძლავრა ქვრივის კერამ. ვაჟკაცებიანს გაუსწორდა მისი ოჯახი.

მას შემდეგ 17 წელიწადი გავიდა.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა ზაირას შრომა — 1966 წელს ლენინის ორდენით დაასილდოვა მწველავი ქალი, შემდეგ შრომის წითელი დროშის ორდენი და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის სიგელები და მედლებიც დაიმსახურა.

ჩვენი დიადი ქვეყნის მეცხოველეთა შორის, პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისა და პროდუქტიულობის გაზრდისათვის, ფართოდ გაიშალა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. ზაირა შეჯიბრებაში ჩაება. გარდაბნის რაიონის მწველავის, სოციალისტური შრომის გმირის გულსანამ ალიევას გამოწვევა მიიღო — 8 თვეში 52 ტონა რძის მოწველა იკისრა...

ნათქვამია: „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელა ხარს აჯობებსო“. და გაიწია ზაირამ. ხუმრობა ხომ არ არის, მან შემობლიურ ქვეყანას, ხალხს საქეიფოდ მისცა პირობა და მთიელმა ადამიანმა ხომ პირის გატეხა არ იცის. არც ზაირამ გატეხა სიტყვა.

სამშობლომ შეაჯამა თავის ამაგდარ შვილთა შრომის 8 თვის შედეგი — საქართველოს მწველავთა შორის ზაირამ გაიმარჯვა, თვითეულ ფურზე 3000 კილოგრამი მოწველა და ქვეყანას 60 ტონა რძე მისცა.

ეს ხომ ერთი პატარა მდინარეა, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ნეჭჭარად ქცეული მდინარე. მდინარე, რომელსაც სიყვარულით ეწაფებიან პატარა მანანა, თამარი, თორნიკე თუ მამუკა...

ზაირამ გაიმარჯვა და საბჭოთა მთავრობამ ამას წინათ უმაღლესი შეფასება მისცა მის შრომას — სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიანიჭა.

— დიდება შენ, მშობლიურო ქვეყანავ, — გულგახარებული ამბობს ზაირა, — მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ შეგიძლია, მშრომელთა ქვეყანავ, პატიოსანი შრომის დაფასება, მხოლოდ შენ შეგიძლია ქვრივ-ობლებს სიკეთის გზა დაუთმო, დიდების კვარცხლბეკზე აიყვანო.

მაშ კვლავ მიიღე ჩემგან ახალი ნობათი — წლის ბოლოს 4 ტონა რძე თვითეული ფურიდან!

აფერუმ, შენს ქალობას, ზაირა!

გიორგი გოჩიტაშვილი

ავიერკავკასიის ბოტანიკოსთა ფორუმი

აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევ სატყეო საცდელ სადგურში მუშაობა დაამთავრა ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭოს მეათე სამეცნიერო სესიამ.

სადგურის დირექტორმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა კ. ტუღუშმა კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— აფხაზეთის სატყეო საცდელი სადგური შემთხვევით როდი ამოირჩიეს ბოტანიკოსთა შეხვედრის ადგილად. ჩვენთან უნიკალური ექსპერიმენტული ბაზა იქმნება. 10 ჰექტარზეა გაშლილი დენდროპარკი, სადაც 500-ზე მეტი სახეობისა და ხაირსახეობის ხემცენარე და ბუჩქი ხარობს. სადგურის სიამაყეა ძვირფასი სწრაფმზარდი ჯიშების საცდელ-საჩვენებელი ტყის კულტურები, რომლებშიც 100-ზე მეტი სახეობის ადგილობრივი და შემოტანილი მერქნიანი ჯიშების 20 ათასი ხე შედის.

სესია მიეძღვნა კავკასიის რელიქტური ჯიშების დაცვისა და გამრავლების საკითხებს. ქართველ მეცნიერებთან ერთად სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, სოჭის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები.

სესიის მონაწილენი იყვნენ ჩვენს დენდროპარკში. დაათვალიერეს ბოტანიკური ჯიშების საცდელ-საჩვენებელი კულტურების ნაკვეთები, გაეცნენ გაგრის სატყეო მეურნეობისა და რიწის ნაკრძალის საცდელ ნაკვეთებს.

საბჭოთა ალპინიზმის იუბილე



— ჩვენი ზვიადი მთები უცხოელმა ალპინისტებმა რატომ უნდა დალაშქრონო, — ამბობდა შესანიშნავი ქართველი მეცნიერი, პროფესორი და ცნობილი სპორტსმენი გიორგი ნიკოლაძე, თან სტუდენტ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს წვრთნიდა, მთებზე საიერიშოდ ამზადებდა.

მერე განხორციელდა ბრწყინვალე ასვლა კავკასიონის ერთ-ერთ უდიდეს მწვერვალ მყინვარწვერზე, ეს იყო 1923 წელს.

იმ ღირსსახსოვარ თარიღს ნახევარი საუკუნე გვაშორებს. ამ დროის მანძილზე გაიზარდა, გამოიწრთო, შორს გაითქვა სახელი საბჭოთა ალპინიზმმა. ამ დღეებში მთამსვლელებს დიდი ზეიმი ჰქონდათ საბჭოთა ალპინიზმის სამშობლოში — საბჭოთა საქართველოში.

16 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, თბილისში, ალიოშა ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში მოეწყო საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციების გაერთიანებული საიუბილეო პლენუმი.

დიდი და საინტერესო პროგრამა შეადგინეს იუბილეს ორგანიზატორებმა. პლენუმის საზეიმოდ გახსნის შემდეგ მოხსენებით „საბჭოთა ალპინიზმის 50 წელი“ გამოვიდა საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე ა. ბოროვიკოვი. შემდეგ იგი შეცვალა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარემ ოთარ გიგინეიშვილმა. მან წაიკითხა მოხსენება „ქართული მთამსვლელობა ნახევარი საუკუნის მანძილზე“.

გულთბილი მისალმებებით გამოვიდნენ უზბეკეთის, სომხეთის, ესტონეთის, ლენინგრადის, ჩელიაბინსკის, კრასნოიარსკის, ნოვოსიბირსკის, კამჩატკის, ქალაქ სუმისა და სხვათა ალპინისტური ფედერაციების სექციათა წარმომადგენლები.

მხურვალე ტაშით დააჯილდოეს საუკეთესო საბჭოთა მთამსვლელები, რომლებსაც ამ დღეს გადაეცათ საკავშირო სპორტკომიტეტის სამახსოვრო მედლები, საპატიო სიგელები და ფიზკულტურისა და სპორტის წარჩინებულის სამკერდე ნიშნები.

მეორე დღეს პლენუმის მონაწილეთათვის გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, აგრეთვე შეხვედრა თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მთამსვლელებთან, მოეწყო ალპინისტური კინოფილმების ფესტივალი.

საბჭოთა ალპინიზმის საიუბილეო გვირგვინად ითვლება მასობრივი ალპინიადა, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა რაზმი მყინვარწვერისაკენ დაიძრა...



...თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ეს იყო ტრადიციული, რიგით 30-ე საიუბილეო ალპინიადა, რომელიც თავის მხრივ უფრო დიდ იუბილეს, საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავს ეხმაურებოდა.

ყაზბეგის რაიონი უნივერსიტეტის ალპინისტების ძველი ასპარეზია, მყინვარწვერმა და სხვა მწვერვალებმა ფეხი აადგმევინეს ქართველ მთამსვლელებს. ბევრ მათგანს სამუდამოდ შეაყვარეს მთები.

საიუბილეო ალპინიადაში მონაწილეობდნენ უკვე სახელმოხვეჭილი და ახალბედა მთამსვლელები. აქ იყვნენ სპორტის საპატიო ოსტატები, მათ შორის ისინიც, ვინც წლევანდელ ზაფხულში დაიპყრო პამირის 7-ათასმეტრიანი მწვერვალები. იყვნენ ოსტატობის კანდიდატები, თანრიგოსნები.

ალპინიადის პირველ დღეებში უკვე გამოცდილები ახალბედებს აჩვევდნენ წრიაპებით სიარულს, ასწავლიდნენ მთამსვლელობის ანბანს, მოეწყო პოეზიის საღამო, სიმღერების ფესტივალი, ზეპირი ჟურნალი, დიდ კოცონთან გაიმართა საინტერესო საუბარი პირველი საბჭოთა ალპინისტური ასვლის შესახებ.

ამ ადამიანებში ყველაზე პოპულარული იყო მარო ტყავაძე, ერთი იმათგანი, ვინც 1923 წლის 28 აგვისტოს მყინვარწვერზე ასვლით საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმს.

მარო ტყავაძე ახალგაზრდებს საქართველოს ხომ თავს დასცქერის 1500-კილომეტრიანი მთაგრეხილი — დიდი კავკასიონი. ის ფაქტი კი, რომ სტუდენტები ეხლა მყინვარწვერის ძირში ისხდნენ და ამ ულამაზესი მწვერვალის დასაპყრობად ემზადებოდნენ, თავისთავად მეტყველებდა პარტიისა და მთავრობის ზრუნვაზე ახალგაზრდობისა და მამაცთა სპორტის განვითარებისათვის.

ახალგაზრდებმა კი ისიც შეიტყეს, რომ ღვაწლმოსილი ადამიანი მარო ტყავაძე, პროფესიით ელექტროინჟინერი, მოსკოვის, სომხეთის, ბაქოსანს, ცომბირის, რუსთავის ელექტროსადგურების ერთ-ერთი დამმონტაჟებელი, 1948 წელს, საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავზე, იმეორებს თავის ასვლას მყინვარწვერზე. ორი წლის შემდეგ ადის იალბუზზე. და მაშინ, როცა ალარავინ ელოდა, 1963 წლის 11 ოქტომბერს, მარო ტყავაძე და ასმათ ნიკოლაიშვილი, მაშინ უკვე 60 წლის მიღწეულნი, მყინვარწვერზე ადიან და ყველას აოცებენ.

ის კი, რაც წლეულს მოხდა, უფრო ლამაზ ლეგენდასა ჰგავს, ალბათ, ამგვარადაც დარჩება ქართული ალპინიზმის ისტორიაში — მყინვარწვერის მოიერიშეთა 42-კაციანი რაზმის თავში, თოვლიანყინულიან ფერდობებზე მიაბიჯებდა 70 წლის ჭაღაროსანი ქალი, ქართული ალპინიზმის ვეტერანი მარო ტყავაძე.

ლაშა გარეჯელი

„დინამო“ უტევს

დიდი ხანია ფეხბურთის მოყვარულთ თბილისის „დინამოს“ ესეთი კარგი თამაში აღარ უნახავთ. სამი გოლი, რომელიც მათ იუგოსლავიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის ოფკ-ას კარში გაიტანეს, სრულად როდი ასახავს ძალთა თანაფარდობას. ქართველ სპორტსმენებს, სულ ცოტა, კიდევ ოთხი ბურთის გატანა შეეძლოთ. სამი დარტყმა ძელმა მოიგერია, ხოლო ერთხელ მეკარესთან პირისპირ გასულმა დათო ყიფიანმა ცარიელ კარს დააცილა...

როგორ და ვინ გაიტანა ბურთები ბელგრადის ოფკ-ას კარში, რომელსაც „დინამო“ უეფას თასის გათამაშების მე-16 ფინალურ მატჩში შეხვდა. თამაშის 25-ე წუთზე თბილისელთა ნახევარმცველმა მანუჩარ მაჩაიძემ (იგი ამ ორიოდე დღის წინ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს) კარგად ჩააწოდა ბურთი კარის გასწვრივ და დათო ყიფიანმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. ოცდამეთხუთმეტე წუთზე გივი ნოდიამ ანგარიში ორამდე გაზარდა, 61-ე წუთზე კი თავი გამოიჩინა რევაზ ძოძუაშვილმა — თავისსავე საჯარიმო მოედანზე ბურთი აართვა მეტოქეს, გადაკეთა მთელი მინდორი და მიაწოდა კარგ პოზიციაში მყოფ ლევან ნოდიას... და სტუმრებმა მესამედ დაიწყეს თამაში ცენტრიდან.

საპასუხო მატჩი გაიმართება ბელგრადში.

სპორტული ქრონიკა

ჭაღარა ქალის მიხაკები...

„აქ აღიმართება მთებში დაღუპულ ქართველ ალპინისტთა ძეგლი“ — აწერია გრანიტის ლოდს..

შესანიშნავი ქართველი მთამსვლელების სიმონ და ალეიმა ჯაფარიძეების, აგრეთვე მთებთან ჭიდილში შინდაუბრუნებელი სხვა ალპინისტების უკვდავსაყოფად ჩაეყარა საძირკველი სერგეი კიროვის სახელობის პარკში, ალპური კლუბის წინ, მემორიალურ ძეგლს. პირველი ყვავილები აქ ყველასათვის კარგად ნაცნობმა და პატივსაცემმა—სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრა ჯაფარიძემ მოიტანა, რომელიც აი, უკვე მერამდენე წელიწადია გულში სათუთად ინახავს დაღუპულ ძმათა სახეებს.

მთები და ადამიანები

თბილისის ალპურ კლუბში წლეულს მეხუთედ გაიხსნა ტრადიციული საერთაშორისო ფოტოკინოკონკურსი „მთები და ადამიანები“, რომელიც საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავს მიეძღვნა.

წლეულს ამ კინო-ფოტოხელოვანთა კონკურსზე წარმოდგენილია 600-მდე ნამუშევარი, რომელთა ავტორები არიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები. გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე იტალიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ბულგარეთსა და კანადაში შესრულებული ფოტონამუშევრები. მათი ავტორები არიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ მთები, სწორედ ამიტომ ქვია გამოფენას „მთები და ადამიანები“.

კონკურსზე წარმოდგენილია შავ-თეთრი სურათები — პეიზაჟები, ქედები, მწვერვალები, ყინვარები, მთამსვლელები, ორიგინალურად არის შედგენილი ფოტოსურათები. კარგია ფერადი ნამუშევრებიც.

აქ წარმოდგენილია აგრეთვე 100-მდე დიაპოზიტივი და 8 კინოსურათი. შედეგები შეჯამდება ნოემბრის დღესასწაულისათვის.

თბილისის ფოტო-კინოკონკურსის მოწყობის ამბავი გამოცხადებული იყო ალპინისტურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის (უიაა) ბიულეტენში, რომელიც შვეიცარიაში გამოდის ფრანგულ ენაზე.

ჭადრაკი

მადრიდი. ქალთა საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელ მესამედს, რომელიც მენორკის კუნძულზე მიმდინარეობს, საბჭოთა მოჭადრაკეები დიდი ალმავლობით ატარებენ. თავდაპირველად ტურნირს ლიდერობდა ნანა ალექსანდრია, რომელმაც შემდეგ რამდენჯერმე წაიბორძიკა. დღეისთვის ისევ გამოისწორა მდგომარეობა და 10 ქულით ტურნირის ერთ-ერთი ლიდერია.

ფინიშს უახლოვდება საბჭოთა კავშირის პირველი ლიგის მოჭადრაკეთა თბილისის ტურნირი. აქ თამაშობენ დიდოსტატები ბრონშტეინი (მოსკოვი), ვახანიანი (ერევანი), ვასიუკოვი (მოსკოვი), გუფელდი (თბილისი), ფურმანი (ლენინგრადი), საერთაშორისო ოსტატები ბაგიროვი (ბაქო), ჯინჯიხაშვილი (თბილისი), ოსნოსი (ლენინგრადი), პოდგაეცი (ოდესა), ოსტატები გიორგაძე (თბილისი), დვორეცკი (მოსკოვი), ზილბერშტეინი (ორსკი), კლოვანი (რიგა), კუნჯი, მაკარიჩევი (ორივე მოსკოვი), პალატნიკი (ოდესა), რაზუვაევი (მოსკოვი) და ტეშკოვსკი (ომსკი).

ამ ტურნირს განსაკუთრებული სიმძაფრე ახლავს, რადგან, შეჯიბრების დებულებით, 4 გამარჯვებული გაისად უმაღლეს ლიგაში გადადის. მომდევნო 6 ადგილზე გამოსულები ინარჩუნებენ თავიანთ ადგილებს პირველ ლიგაში, ხოლო დანარჩენი რვა საკავშირო შესარჩევ ტურნირში ითამაშებს.

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ორ უკანასკნელ თამაშში ოთხი ქულა მოაგროვა და სატურნირო ცხრილში რამდენიმე ადგილით წაიწია.

როსტოვში თბილისელები შეხვდნენ ადგილობრივ „სკას“, პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1:1 (თბილისელთაგან ბურთი გაიტანა მანუჩარ მაჩაიძემ).

მეორე ნახევრის დასაწყისშივე დავით ყიფიანის დარტყმა მოიგერია როსტოველთა მეკარემ, მაგრამ დამცველმა კი ბურთი საკუთარ კარში ჩაჰკრა — 2:1. მე-60 წუთზე თბილისელთა თავდამსხმელმა ვლადიმერ გუცაევმა თავისი რეიდი ბურთის გატანით დააგვირგვინა — 3:1; როსტოველებმა მხოლოდ მეორე ბურთის გაქვითვა შეძლეს. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა თბილისის „დინამომ“.

20 ოქტომბერს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დინამოელებმა დაამარცხეს მოსკოვის „სპარტაკი“. ერთადერთი ბურთი თამაშის მეათე წუთზე გაიტანა გოჩა გავაშელმა. ამ გამარჯვებით თბილისელმა ფეხბურთელებმა ერთგვარი რევანში აიღეს მოსკოვის „სპარტაკთან“ პირველ წრეში დამარცხებისათვის და სატურნირო ადგილიც საგრძნობლად გაიუმჯობესეს.

ახალი საკავშირო

თბილისის ველოტრეკზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც პროგრამის გარეშე გამოდიან სალიდერო რბოლის ოსტატები.

საუკეთესოდ დასპარეზეს თბილისელებმა ო. პროკოპენკომ და ი. კავაძემ, რომლებმაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარეს 25 კილომეტრზე რბოლაში — 18 წუთი და 31,9 წამი.

ქეთევან ლოსაბერიძე — ჩემპიონი

ალმა-ათაში სსრ კავშირის პირველობაზე ბრწყინვალედ იასპარეზა ჭართველმა სპორტსმენმა ქეთევან ლოსაბერიძემ. ჯერ მან, როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 70 მეტრზე სროლაში, შემდეგ მოსკოველ ემა გაჰჩენკოსთან ერთად გაათმჯობესა საკავშირო მიღწევა ორი დისტანციის ჯამში.

და აი გუშინ ქეთევანმა ბოლოსანმა კიდევ ერთი საკავშირო რეკორდი დაამყარა მრავალჭიდის ჯამში — 2433 ქულა და სსრ კავშირის 1973 წლის ბოლოტურა ჩემპიონიც გახდა.

საბავშვო წიგნის სახლი

გამომცემლობა „ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლი რამდენიმე წელიწადია კეთილშობილ საქმიანობას ეწევა, დღიდან არსებობისა (1967 წელი) ხელს უწყობს საბავშვო ლიტერატურის ისტორიის შექმნას, სწავლობს ნორჩი მკითხველის ინტერესებს, ემსახურება საყმაწვილო ლიტერატურისა და ქართული საბავშვო წიგნის პროპაგანდას, ურთიერთობას ამყარებს გამომცემლობას, მწერლებსა, მეცნიერებსა, მხატვრებსა და მკითხველთა, პედაგოგთა, ბიბლიოთეკართა, ნორჩი თაობის აღმზრდელთა შორის.

გვესაუბრება გამომცემლობა „ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლის დირექტორი ჯენეტო ჭანტურაია.

„ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლის გამოსაცემად ამზადებს თეორიულ-კრიტიკულ წიგნებს, გამოკვლევებს საბავშვო ლიტერატურის პრობლემატურ საკითხებზე, მონოგრაფიებს საბავშვო მწერლებზე, საყმაწვილო ლიტერატურის მოამაგეებზე, ალბომებს, პროსპექტებს, ბუკლეტებს, ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს, წიგნში ჩასადებ ფურცლებს და სხვას. აქვე გამოდის სერიული გამოცემები — „ნორჩი თაობის მოამაგენი“, „გამოფენა სკოლაში“, „ისმინე, სწავლის მძებნელო!“, ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული ალმანახი — „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე“.

უახლოეს ხანში გამოვცემთ პროფესორ არჩილ ჩაჩიბაიას მნიშვნელოვან შრომას „ქართული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის საკითხები“, რომელშიც განხილულია ქართული საყმაწვილო ლიტერატურის შექმნისა და განვითარების პროცესი.

სერია „ნორჩი თაობის მოამაგენი“ ეძღვნება მონოგრაფიებს ქართველ მწერლებზე, „გამოფენა სკოლაში“ — ეს არის ცალკეული საყმაწვილო მწერლებისა და მხატვრებისადმი მიძღვნილი მდიდრულად ილუსტრირებული ალბომები.

ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული ალმანახი „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე“ (რედაქტორი მწერალი ელიზბარ უბილავა) თავის ფურცლებზე იხილავს საბავშვო პოეზიის, პროზის, დრამატურგიის, მხატვრობის, ფოლკლორის, ხელოვნების საკითხებს, შეისწავლის ქართული საყმაწვილო ლიტერატურის წარსულსა და აწმყოს.

გარდა ზემოხსენებული ლიტერატურისა, რომლის დიდი ნაწილი განკუთვნილია ბავშვთა აღზრდის დარგში მომუშავე პირებისათვის, „ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლს მეტად საპატიო მოვალეობად მიაჩნია მიაწოდოს ნორჩ მკითხველებს ბიბლიოგრაფიული წიგნები, რომელთა დანიშნულებაა დაეხმაროს მოზარდებს მიაგნონ მათთვის საჭირო და სასარგებლო ლიტერატურას. ამ მიზნით შეუდგენიათ სერია „ისმინე, სწავლის მძებნელო!“. ამ სერიის ცალკეული ნაძიებლები მიეძღვნება ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკის სხვადასხვა დარგს. უკვე გამოვიდა მაყვალა ომიაძის „რა წავიკითხოთ საქართველოს ისტორიულ წარსულზე“ და მედეა მთვრალაშვილის „რა წავიკითხოთ მცენარეებსა და ცხოველებზე“. მალე გამოვა წიგნები „რა წავიკითხოთ მუსიკაზე“, „რა წავიკითხოთ გეოგრაფიასა და ასტრონომიაზე“, „რა წავიკითხოთ დიდ სამამულო ომზე საყმაწვილო ლიტერატურაში“. ბიბლიოგრაფიული წიგნებიდან აღსანიშნავია „წიგნები ლენინზე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“, და „ვ. ი. ლენინი „ნაკადულის“ გამოცემაში“. უკვე წარმოებაშია ილია გორგაძის და მარგო თომაძის ანოტირებული ბიბლიოგრაფია „ქართული საბავშვო წიგნი 1921-1971 წწ.“ ბიბლიოგრაფია, რომელშიც თავმოყრილია საბჭოთა პერიოდში გამოცემული თითქმის ყველა საყმაწვილო წიგნი, პირველად გამოდის საქართველოში. ქართული საბავშვო ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია მოიცავს დიდ მონაკვეთს — დაწყებულ პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალებიდან, დამთავრებული დღევანდელი პერიოდიკით, გამოიცემა რამდენიმე ნაკვეთად.

მიმოხილვით-ბიბლიოგრაფიულ ჟანრს ეკუთვნის ჯენეტო ჭანტურაიას და თედო ბექიშვილის ალბომი „აყვავდი, ტურფა ქვეყანავ!“ (ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა), რომელშიც მიმოხილულია მთელი კლასიკური და თანამედროვე საბავშვო მწერლობა, საყმაწვილო ჟურნალები.

ბეჭდვითი პროპაგანდის პარალელურად ვაწყობთ ზეპირ პროპაგანდას, საბავშვო წიგნის სახლის მუშაკები რამდენიმე თემაზე ატარებენ საუბრებს, რასაც თან ახლავს გამოფენები.

„ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლს რესპუბლიკის ყველა რაიონში შექმნილი აქვს ეგრეთ წოდებული საგუშაგოები, რომლებიც დაკომპლექტებულია საქმის მცოდნე, ინიციატივიანი პედაგოგებით, ბიბლიოთეკარებით, მეთოდისტებით. საგუშაგოები მუშაობენ წიგნის სახლის მიერ შემუშავებული სავანგებო დებულებით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით. საგუშაგოები ხშირად საბავშვო წიგნის სახლის თანამშრომლებთან ერთად ან დამოუკიდებლად მართავენ ადგილებზე მკითხველთა კონფერენციებს, ლიტერატურულ დილა-საღამოებს, მწერლებთან შეხვედრებს, ვიქტორინებს, იხილავენ ნორჩ მკითხველთა აზრს წაკითხულ წიგნზე და საყურადღებო მოსაზრებებს ხელმისაწვდომს ხდიან წიგნის სახლისათვის.

ფოსტას სისტემატურად მოაქვს ჩვენთან ბავშვური ხელით ნაწერი ბარათები. პატარები გვწერენ თავიანთ შთაბეჭდილებებს ამა თუ იმ წაკითხულ წიგნზე, მოსაზრებებს, შენიშვნებს, სურვილებს... ჩვენი მუშაკები პასუხს სწერენ მათ ავტორებს. გვწერენ წერილებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან.

„ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს მოსკოვისა და ლენინგრადის საბავშვო წიგნის სახლთან. ჩვენი მუშაობით დაინტერესდნენ საზღვარგარეთელი მეგობრებიც. ჩვენთან სტუმრად იყვნენ ჩეხი, სლოვაკი, ბულგარელი მეგობრები, იაპონელი სტუმრები.

დასასრულ, საბავშვო წიგნის სახლის კოლექტივის სახელით მინდა მივესალმო საზღვარგარეთელ ჩვენს თანამემამულეებს და ვუთხრა — თუკი აინტერესებთ საბავშვო ლიტერატურა, მოგვმართონ მოთხოვნით, სიამოვნებით დავაკმაყოფილებთ მათ სურვილს.

ყ ი გ ნ ი —
ბავშვების მეგობარი

ამ დღეებში მოსკოვის სახელმწიფო საბავშვო გამომცემლობამ გამოაქვეყნა რუსულ ენაზე ქეთევან ჭილაშვილის მოთხრობების კრებული „ჩვენი სახლი“. წიგნის მთარგმნელია ა. ებანოიძე. ეს მეორე წიგნია მწერალი ქალისა, რომელიც მოსკოვის გამომცემლობამ გამოუშვა — ადრე აქვე იყო გამოცემული მისი წიგნი „3—2 უდრის 1“. ეს წიგნი გამოვიდა აგრეთვე აზერბაიჯანში და სომხეთში. მან თავიდანვე დიდი სიყვარული მოიპოვა ნორჩ მკითხველთა შორის.

ქეთევან ჭილაშვილის წიგნები ასწავლიან ნორჩ მკითხველებს იყვნენ კეთილნი, ყურადღებიანნი ერთმანეთის მიმართ, სამშობლოს ერთგულნი.



გეტყვი, მხოლოდ არვის უთხრა...

იაკობობის წინა დღეს

ათეული კი არა, გავა კიდევ ასეული წლები და ქართველთა შთამომავლობა მადლობით გაიხსენებს იაკობ გოგებაშვილს, ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი განათლება, შეძლება ქართული დედაენის აღორძინებას მოახმარა. მისეული დედაენით სწავლობდნენ მამა-პაპანი, ვისწავლეთ ჩვენ, ისწავლიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები.

ყოველწლიურად, ოქტომბერში იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ გორსა და ვარიანში იმართება სახალხო ზეიმი — იაკობობა. იგი ყველა დიდპატარა ქართველის ზეიმია, რამეთუ ეხლა არსად არს ქართველი, რომლისთვისაც გოგებაშვილისეული დედაენა უპირველესი განძი არ იყოს.

ვაქვეყნებთ ლექსს, რომელიც გოგებაშვილს მიუძღვნა მასწავლებელმა **ლუარსაბ ვარდანაშვილმა.**

პატარა მარინე იაკობ გოგებაშვილს

დედამ კაბა შემიკერა,
ხავერდოვან ვარდის ფერი —
საზეიმოდ უნდა ჟღერდეს
ამ დღისათვის ყველაფერი.
მე ამ ლექსით გესალმები,
გულსჩამწვდომით, მშვენიერით,
სამარადჟამოდ იცოცხლებს
კარგის მქმნელი მშობელ ერით.
მაშ მე ლექსი რად არ გიძღვნა,
შეგგალობო ვით ბულბულმა —
შემოდგომამ გადღეგრძელოს,
გაგაცოცხლოს გაზაფხულმა.
რად დარდობდი უშვილობას,
ქართველ შვილთა დიდო მამავ,
შენი გულის გვრიტები ვართ,
შენი სიყვარულით დავალთ.
დედაენა ქართველობას
უფრო მეტად შეგვაყვარე.
იდღეგრძელოს საქართველომ,
სულ წარობდეს შენი მხარე.
კარგს იქმოდი, ცის ნამივით
გვაპკურებდი ცოდნის წყაროს,
დედაენა საუკუნოდ
დაგვიმშვენებს წიგნის თაროს.
ვენაცვალე დედაენას,
ყველა ბავშვის ყვავილთ კონას,
შიგ მერცხლები ჰიკჩიკებენ,
გაუმარჯოს შენს დიდ ხსოვნას.
შოთამ, საბამ სიბრძნით გკვება,
გაგვანათლე, როგორც მთვარე,
შენი ცოდნის ნარინჯები
გვირგვინებად დაგვაყარე.
ფრთა გავკარი ცის კამარას,
ზეცის მნათობთ დავეკონე,
მეც სამშობლო შენებრ მიყვარს,
მამავ, მეც გზა დამილოცე.

გორის რაიონი, სოფელი მეხვრისხევი-ახალუბანი.

დ ა გ ე ძ ე გ ე ნ,
მ ო გ ე ლ ი ა ნ

ვალერიან (ვალიკო) ლავრენტის ძე სურმავას,

დაბადებულს 1921 წელს თბილისში, ეძებენ დედა—**მარიამი,** და — **ნინო,** მცხოვრებნი თბილისში, ლენინგრადის ქუჩა № 9.

სერგო გიორგის ძე არეშიძეს,

დაბადებულს 1917 წელს თერჯოლის რაიონის (ყოფილი ჩხარის) სოფელ ტელეფაში, ეძებენ დები — **თამარ, ოლია არეშიძეები, ნინუცა კობახიძე,** მცხოვრები თბილისში, პეკინის ქუჩა № 51ვ.

აპოლონ ნიკოლოზის ძე ვოლდეიტს,

დაბადებულს 1918 წელს ქალაქ თელავში, ეძებს დეიდა — **ნინო თეთრაძე,** მცხოვრები თბილისში, სართიჭალის ქუჩა № 9.

ძმებს ილია, ნიკოლოზ, იორდანე ალექსის ძე ბიჩინაშვილებს,

დაბადებულთ 1907, 1915 და 1923 წლებში თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევში, ეძებენ დედა — **ნინო,** და — **კატუშა,** დისწულები — **ჰამლეტ და უშანგ (ტანგო) არჩილის ძე ბეკოშვილები,** ილიას მეუღლე — **ნინო,** შვილი — **ეთერ,** შვილიშვილები — **ზურაბ და თამარ ბიჩინაშვილები, ქეთევან, გიორგი, ირმა კოღუაშვილები,** მცხოვრებნი ქალაქ რუსთავში, ორჯონიკიძის ქუჩა № 2, ბინა 4.

არჩილ ალექსის ძე თათარაშვილს,

დაბადებულს 1906 წელს ქალაქ მცხეთაში, ეძებენ ძმა — **ალექსანდრე,** და — **სონია,** შვილები — **ელდარ, მალხაზ, ტრისტან,** ნათელა თათარაშვილები, მცხოვრებნი მცხეთაში, მახარაძის ქუჩა № 47.

ალექსანდრე და სოლომონ ნიკოლოზის ძე მაზიაშვილებს,

დაბადებულთ 1918 და 1923 წლებში სიღნაღის რაიონის სოფელ ჰოტორში, ეძებენ დედა — **სონა,** დები — **ეთერ** და **ლენა მაზიაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ზაჰესის ქუჩა № 61ა.

მიხეილ ივანეს ძე აფციაურს,

დაბადებულს 1909 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ანანურში, ეძებენ მეუღლე — **ანიკო,** შვილები — **ნაზი (ნორა), რეზო, გულო აფციაურები,** მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-6 კვარტალი, I კორპუსი, I სადარბაზო, ბინა 5.

რედაქტორი
გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488